

მაღალი რისკის ჯგუფების
ქცევაზე ზედამხედველობის კვლევების
სტანდარტული მეთოდური სახელმძღვანელო

დეკემბერი, 2010

მაღალი რისკის ჯგუფების
ქცევაზე ზედამხედველობის კვლევების
სტანდარტული მეთოდური სახელმძღვანელო

დეკემბერი, 2010

სარჩევი

შესავალი	1
განმარტებები.....	2
ძირითადი ინდიკატორები	7
I. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები (ინმ).....	7
II. ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცები	16
III. კომერციული სექსის მუშაკები	23
IV. პატიმრები.....	27
შერჩევის მეთოდოლოგიები	32
მაღალი რისკის ჯგუფების კვლევის არა-ალბათური შერჩევის მეთოდი.....	33
მაღალი რისკის ჯგუფების კვლევის ალბათური შერჩევის მეთოდები	34
შერჩევის ზომის დადგენა.....	40
კვლევის ინსტრუმენტები	41
I. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები (ინმ).....	41
II. ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცები	73
III. კომერციული სექსის მუშაკები	96
IV. პატიმრები.....	119
ანალიტიკური ცხრილები	132
I. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები (ინმ).....	132
II. ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცები	141
III. კომერციული სექსის მუშაკები	149
IV. პატიმრები.....	158
ზოგადი რეკომენდაციები.....	163
გამოყენებული ლიტერატურა და შემდგომი საკითხავი.....	164

წინამდებარე მეთოდური სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ქვევაზე ზედამხედველობის კვლევების მეთოდოლოგიის სტანდარტიზაციას.

სახელმძღვანელო განკუთვნილია მკვლევარებისთვის, რომლებიც ატარებენ ქვევაზე ზედამხედველობის კვლევებს მაღალი რისკის ჯგუფებში საქართველოში. სახელმძღვანელო შედგება რამდენიმე სექციისგან. *განმარტებები* იძლევა დეფინიციებს ყველა ძირითად ტერმინზე, რომელიც მაღალი რისკის ჯგუფების დახასიათებისთვის გამოიყენება. *ძირითადი ინდიკატორები* მოიცავს მინიმალურ ჩამონათვალს, UNGASS-ის რეკომენდებული ინდიკატორების ჩათვლით, რომელთა მონიტორინგი მნიშვნელოვანია აივ-ზე ეროვნული პასუხის განხორციელებისათვის. თითოეული ინდიკატორი წარმოდგენილია დეტალური პასპორტით. კვლევის ინსტრუმენტები ეფუძნება FHI-ის სტრუქტურირებულ კითხვარებს, რომელთა რევიზია განხორციელდა საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე. *ანალიტიკური ცხრილები* გვაწვდის ფორმატს, რომლის მიხედვით რეკომენდებულია კვლევათა მონაცემების ანალიზის წარდგენა. დოკუმენტი აგრეთვე გვაწვდის მაღალი რისკის ჯგუფების კვლევებისთვის გამოყენებულ კვლევების *შერჩევის მეთოდების* მოკლე მიმოხილვას.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დოკუმენტი მიზნად არ ისახავს ჩაანაცვლოს სახელმძღვანელოები, სადაც მოცემულია დეტალურ ინფორმაცია შერჩევის სხვადასხვა მიდგომებზე, მონაცემთა ანალიზზე და რეკომენდაციას უწევს მკითხველს მიმართოს სხვადასხვა რესურსებს, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ბიბლიოგრაფიის სექციაში.

ამ სახელმძღვანელოს შემუშავება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: მზია ტაბატაძე, ნინო წერეთელი, თამარ სირბილაძე, ლელა თავზარაშვილი, კახა ხელაძე, ხათუნა თოდაძე, დავით ოთიაშვილი, ირმა ბურჯანაძე, ცირა მერაბიშვილი, ივდითი ჩიქოვანი, ქეთევან გოგუაძე, ნათია რუხაძე, თამარ ქასრაშვილი.

საერთაშორისო ფონდი კურაციო მადლობას უხდის შიდსთან, მალარიასთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალურ ფონდის პროექტის - „აივ ინფექცია/შიდსის ეროვნული პროგრამების განხორციელებისათვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ბაზის შექმნა ქვეყანაში აივ ინფექცია/შიდსზე ეპიდზედამხედველობის სისტემის გაძლიერების გზით“ ფინანსური მხარდაჭერისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა წინამდებარე დოკუმენტის შემუშავება.

განმარტებები

ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება (ნკტ) აივ ინფექციაზე – სერვისი ჩატარებული ისეთ გარემოში, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალობას და ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში თან ახლავს ტესტის წინა კონსულტირება, ტესტირება და ტესტის შემდგომი კონსულტირება.

აივ ინფიცირებული (აივ ინფექციის დადასტურებული შემთხვევა) - ნებისმიერი პირი, რომლის აივ ინფექციაზე ლაბორატორიული კონფირმაციული კვლევისას მიღებულია დადებითი შედეგი.

ქცევაზე ზედამხედველობა –საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებისთვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკის ქცევების შესახებ მონაცემების სისტემატური და უწყვეტი შეგროვება ქცევისა და ავადობას შორის კორელაციის ტენდენციების განსაზღვრისათვის.

ქცევაზე ზედამხედველობის კვლევები (BSS) – კვლევები, რომელიც იყენებს ეპიდზედამხედველობის სისტემაში რისკის ქცევაზე მეთვალყურეობის სარწმუნო მეთოდებს და მონიტორინგს უწევს ეპიდემიის გავრცელების თავისებურებებს სპეციფიკურ ჯგუფებში.

მაღალი რისკის ქცევა - ქცევა, რომელიც ქმნის აივ ინფექციის გადაცემის საფრთხეს (მაგ. მრავალი სქესობრივი პარტნიორის ყოლა კონდომის არამუდმივი გამოყენებით; არასტერილური ნემსების/შპრიცების და საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სხვა ატრიბუტიკის გაზიარება ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის).

მაღალი რისკის ჯგუფები – მოსახლეობის ჯგუფები მაღალი სარისკო ქცევით. საქართველოში ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცები და კომერციული სექსის მუშაკები.

ქცევის შეცვლის კომუნიკაცია (BCC) – ინდივიდთან, თემთან და საზოგადოებასთან მუშაობის პროცესი, რომლის მიზანია:

- ინდივიდუალურ და სოციალურ ქცევაში პოზიტიური ცვლილებები კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენებით

- უზრუნველყოს ხელშემწყობი გარემო მოსახლეობაში პოზიტიური ქცევის ჩამოსაყალიბებლად და შესანარჩუნებლად.

მეორე თაობის აივ ეპიდზედამხედველობა - ეპიდზედამხედველობის სისტემა, რომელიც ქვეყანაში ეპიდემიის მდგომარეობის შესაბამისად ახდენს რისკის ქცევებსა და აივ ინფექციის გავრცელებაზე დაკვირვებას ტენდენციების მონიტორინგის და კორელაციის დადგენის მიზნით.

ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელი (ინმ) - პირი, რომელიც არასამედიცინო მიზნით ინექციის გზით მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას.

ინექციური ნარკოტიკის მომხმარებელი (ინმ) (კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი) - პირი, რომელმაც არასამედიცინო მიზნით ინექციის გზით ერთხელ მაინც მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება ბოლო ერთი თვის განმავლობაში.

ცნს დეპრესანტი – ნივთიერება, რომელსაც ახასიათებს შემაკავებელი მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, თრგუნავს საციცოცხლოდ მნიშვნელოვან, მათ შორის, რეფლექსურ ფუნქციებს.

ცნს სტიმულანტი – ნივთიერება, რომელსაც ახასიათებს გამააქტივებელი, მასტიმულირებელი მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, იწვევს ენერჯის მოზღვაავების შეგრძნებას, სიფხიზლის დონის მომატებას.

ჰალუცინოგენი – ნივთიერება, რომელიც ცნს–ზე ზემოქმედების გზით იწვევს გუნებ–განწყობის ცვლილებას და აღქმის გაუკუღმართებას ილუზიებისა და ჰალუცინაციების წარმოქმნით.

ნარკოტიკული ანალგეტიკი (ტკივილგამაყუჩებელი ნარკოტიკი) – ცნს დეპრესანტების ჯგუფში შემავალი ტკივილის შემცირების ან მოხსნის უნარის მქონე ნივთიერება, რომელსაც მიჩვევის პოტენციალი გააჩნია.

საინექციო საშუალება - ყველა ის საშუალება, რომელიც გამოიყენება ნარკოტიკის ინექციისთვის: შპრიცი, ნემსი, „პეპელა“, და სხვ..

საინექციო ატრიბუტიკა - ყველა ის საშუალება, რომელიც გამოიყენება ინექციური ნარკოტიკის მომზადების, განაწილების და მოხმარების პროცესში. როგორცაა: შპრიცი, ნემსი, პეპელა, ჯამი, კოვზი, ფილტრი და სხვ..

აღკვეთის სინდრომი (აბსტინენციური მდგომარეობა) – სხვადასხვა სიმპომის სიმპტომებისა და ნიშნების ერთობლიობა, რომელიც აღმოცენდება წამალდამოკიდებულ პირებში ნივთიერების მიღების სრული შეწყვეტის ან მისი დოზის შემცირებისას ამ ნივთიერების არაერთჯერადი, ჩვეულებრივ, ხანგრძლივი და/ან დიდი დოზებით მოხმარების შემდეგ.

დეტოქსიკაცია – სამკურნალო პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს აღკვეთის სინდრომის მოხსნას.

აღკვეთის სინდრომის მოხსნა სამედიცინო დახმარების გარეშე („ლომკის სუბოიზე გადაგდება“) – ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის გავრცელებული თვითმკურნალობის ფორმა (აშშ–ში გავრცელებული ე.წ. „ცივი ინდაურის - cold turkey“ პრაქტიკის ანალოგი). იგი გულისხმობს ნარკოტიკის გამოყენებაზე ერთბაშად უარის თქმას შესაბამისი სამედიცინო დახმარების გარეშე. „აღკვეთის სინდრომის მოხსნა დახმარებით“ ნიშნავს, რომ ნარკოტიკის მომხმარებელს ოჯახის წევრი ან ახლობელი ეხმარება ამ მდგომარეობის შემსუბუქებაში.

თავშეყრის ადგილი – ადგილი, სადაც ნარკოტიკის მომხმარებელთა ჯგუფი იკრიბება ნარკოტიკების მიღების მიზნით. შესაძლოა, ეს ადგილი პერიოდულად იცვლებოდეს.

ნემსების/შპრიცების და/ან სხვა საინექციო ატრიბუტიკის გაზიარება –ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების მიერ სხვისი ნახმარი ნემსების/შპრიცებისა და სხვა საინექციო საშუალებების განმეორებით მოხმარება.

კონდომის მუდმივი გამოყენება - კონდომის გამოყენება ყოველი შეღწევადი სქესობრივი კონტაქტის დროს, იქნება ეს ვაგინალური, ორალური თუ ანალური სქესობრივი კავშირი.

რეგულარული სქესობრივი პარტნიორი – სქესობრივი პარტნიორი, რომელთან სქესობრივი ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება, ან გრძელდება ერთ წელზე ნაკლები მაგრამ არსებობს ურთიერთობის გაგრძელების განზრახვა (მაგ.: მეუღლე ან თანამცხოვრები, ან სქესობრივი პარტნიორი).

რეგულარული სქესობრივი პარტნიორი ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე

მამაკაცებისთვის - სქესობრივი პარტნიორი, რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა მყარდება მატერიალური ანაზღაურების გარეშე, ურთიერთობა სულ ცოტა 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება, ან გრძელდება 3 თვეზე ნაკლები პერიოდის მანძილზე მაგრამ სქესობრივი კონტაქტები რეგულარულია.

შემთხვევითი სქესობრივი პარტნიორი – სქესობრივი პარტნიორი, რომელიც არ არის რეგულარული პარტნიორი და რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა მყარდება მატერიალური ანაზღაურების გარეშე.

კომერციული სქესობრივი პარტნიორი - სქესობრივი პარტნიორი, რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა მყარდება მატერიალური ანაზღაურების საფასურად (პარტნიორს უხდის ან პარტნიორისგან იღებს ანაზღაურებას).

კომერციული სექსი - პროსტიტუცია.

კომერციული სექსის მუშაკი - პირი, რომელიც კომერციული სექსის სფეროშია დაკავებული და ამყარებს სქესობრივ კავშირს მატერიალური ანაზღაურების საფასურად.

კომერციული სექსის მუშაკი (კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი) - პირი, რომელიც ბოლო 12 თვის მანძილზე კომერციული სექსის სფეროშია დაკავებული და ამყარებს სქესობრივ კავშირს მატერიალური ანაზღაურების საფასურად.

ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკი - პირი, რომელიც ქუჩებში სეირნობის ან გარკვეულ ადგილზე დგომის საშუალებით შოულობს სქესობრივ პარტნიორებს და მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ ამყარებს მათთან სქესობრივ კავშირს.

დაწესებულებაში მომუშავე სექს-მუშაკი - პირი, რომელიც გარკვეული ტიპის დაწესებულებებში (ბარი, საუნა, სასტუმრო, ბორდელი) იმყოფება კლიენტების მოზიდვის და/ან მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ მათთან სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით.

სექს-მუშაკის კლიენტი - პირი, რომელიც სქესობრივ მომსახურებაში იხდის მატერიალური საფასურს.

რეგულარული კლიენტი - პირი, რომელიც ხშირად იყენებს ერთი კონკრეტული სექს-მუშაკის სქესობრივ მომსახურებას.

ანონიმური ტესტირება - ტესტირება, რომლის დროსაც არ ხდება ტესტირებული პირის ვინაობის იდენტიფიცირება.

დროისა და ადგილის მიხედვით შერჩევა - კვლევის მონაწილეთა შერჩევის მეთოდი, რომელიც ეფუძნება დაშვებას, რომ გარკვეული ჯგუფის წევრებს ახასიათებთ დროის კონკრეტულ პერიოდში და კონკრეტულ ადგილას თავშეყრა. დაკვირვების შედეგად ხდება სხვადასხვა თავშეყრის ადგილისა და დროის მონაცემების აღრიცხვა და რუკაზე დატანა და ამ მონაცემების საფუძველზე კვლევის მონაწილეთა შერჩევა.

მეფინგი - კვლევისათვის შერჩევის ფორმატის დასადგენად და სექს-მუშაკების რაოდენობის, მათი სამუშაო ადგილების და სამუშაო საათების დადგენის მიზნით მონაცემების რუკაზე დატანის პროცედურა.

ტრეფიკინგი - კომერციული სექსის მუშაკებთან ეს ტერმინი გულისხმობს მხოლოდ ტრეფიკინგს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით - როდესაც ადამიანები ძალით ან მოტყუებით მიჰყავთ სამუშაოდ, ხშირად საზღვარგარეთ, ართმევენ პასპორტსა და საბუთებს და აიძულებენ, იმუშაონ სექს-მუშაკებად.

ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცი - მამაკაცი, რომელიც ამყარებს სქესობრივ კონტაქტებს სხვა მამაკაცებთან, იმისდა მიუხედავად, ახდენს თუ არა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, როგორც ჰომოსექსუალისა.

ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცი (კვლევის მიზნებისთვის) - მამაკაცი, რომელსაც ბოლო 12 თვის მანძილზე ჰქონია სქესობრივი კონტაქტი სხვა მამაკაცებთან, იმისდა მიუხედავად, ახდენს თუ არა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, როგორც ჰომოსექსუალისა.

ჰეტეროსექსუალური კონტაქტი - სქესობრივი კონტაქტი საპირისპირო სქესის ადამიანთან.

ბისექსუალური ქცევა - სქესობრივი კონტაქტები ორივე სქესის ადამიანთან.

ჰომოსექსუალური კონტაქტი - სქესობრივი კონტაქტი თავისივე სქესის ადამიანთან.

ჰეტეროსექსუალური ორიენტაცია - სქესობრივი ლტოლვა საპირისპირო სქესის ადამიანის მიმართ.

ჰომოსექსუალური ორიენტაცია - სქესობრივი ლტოლვა თავისივე სქესის ადამიანის მიმართ.

ბისექსუალური ორიენტაცია - სქესობრივი ლტოლვა ორივე სქესის ადამიანების მიმართ.

ღია ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულება - სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულება, სადაც პატიმრებს აქვთ დაწესებულების ფარგლებში, იზოლირებულ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების საშუალება.

დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულება - სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულება, სადაც პატიმრები იმყოფებიან საპყრობილის ტიპის დახურულ საკნებში და არ აქვთ თავისუფალი გადაადგილების და სხვა საკნებში მყოფ პატიმრებთან ურთიერთობის საშუალება.

პატიმარი - პირი, რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის ადგილას;

პატიმარი (კვლევაში ჩართვის კრიტერიუმი) - პირი, რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის ადგილას 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

მიუსჯელი პატიმარი - პირი, რომელიც იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილას, წინასწარი დაკავების საკანში სასამართლოს მოლოდინში.

ძირითადი ინდიკატორები

I. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები (ინმ)

დასახელება	აღწერილობა	კალკულაციის მეთოდი	კითხვარი/ შეკითხვა	დეზაგრეგაცია	ინტერპრეტაცია	შენიშვნა
1. აივ პრევალენტობა ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში	ინმ-ებში აივ ინფიცირებულ პირთა პროცენტი	მრიცხველი: აივ ინფიცირებულ ინმ-ის რაოდენობა	დადებითი კონფირმაციული ტესტი აივ-ზე	<ul style="list-style-type: none"> სქესი ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 		UNGASS ინდიკატორი #23
		მნიშვნელი: აივ-ზე ტესტირებულთა საერთო რაოდენობა	აივ-ზე ტესტირებულები			
2. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა აივ-ზე ტესტირების მაჩვენებელი	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე აივ ინფექციაზე ჩაიტარა ტესტირება და იცის შედეგი	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელთაც ბოლო 12 თვის მანძილზე ჩაიტარეს ტესტი აივ-ზე და იციან შედეგი	H12 (1) და H14 (1)	<ul style="list-style-type: none"> სქესი ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	<p>აივ სტატუსის ცოდნა კრიტიკულია აივ ინფექციის შემდგომი გავრცელების შესაჩერებლად.</p> <p>ინდიკატორი აფასებს ნკტ სერვისების ხელმისაწვდომობას სამიზნე ჯგუფში</p>	UNGASS ინდიკატორი #8
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი			
3. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა პრევენციული პროგრამებით მოცვა (UNGASS)	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვინც იცის, თუ სად არის შესაძლებელი აივ-ზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება, ბოლო 12 თვის მანძილზე პრევენციული პროგრამებისგან მიუღიათ კონდომი და სტერილური საინექციო საშუალება (ნემსი/შპრიცი/ პეპელა)	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც დადებითად პასუხობს სამივე შეკითხვას	H11 (1) და I2. 1 (1) და I2.4 (1)	<ul style="list-style-type: none"> სქესი ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	<p>ინდიკატორი აფასებს ბოლო 12 თვის პერიოდს. თუ ხელმისაწვდომია აგრეთვე მონაცემები ბოლო 3, 6 თვის პერიოდისათვის დაურთეთ ანგარიშს</p>	UNGASS ინდიკატორი #9
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი			

4. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა პრევენციული პროგრამებით მინიმალური მოცვა	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვინც იცის, თუ სად არის შესაძლებელი აივ-ზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება და ბოლო 12 თვის მანძილზე პრევენციული პროგრამებისგან მიუღია სტერილური საინექციო საშუალება, ან კონდომი ან საინფორმაციო მასალა ან საგანმანათლებლო ინფორმაცია	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელმაც იცის თუ სად არის შესაძლებელი აივ-ზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება და რომელმაც დადებითად უპასუხა დანარჩენ კითხვათაგან სულ მცირე ერთს	H11 (1) და I2.1 (1) ან I2.2 (1) ან I2.3 (1) ან I2.4 (1)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	ინდიკატორი აფასებს პრევენციული პროგრამებით მინიმალურ მოცვას	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი			
5. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა პრევენციული პროგრამებით ინტეგრირებული მოცვა	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვინც იცის, თუ სად არის შესაძლებელი აივ-ზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება და ბოლო 12 თვის მანძილზე პრევენციული პროგრამებისგან მიუღია ყველა ქვემოთჩამოთვლილი: სტერილური საინექციო საშუალება, კონდომი, საინფორმაციო მასალა, საგანმანათლებლო ინფორმაცია	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელმაც იცის თუ სად არის შესაძლებელი აივ-ზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება და რომელმაც დადებითად უპასუხა დანარჩენ ოთხ კითხვას	H10 (1) და I2.1 (1) და I2.2 (1) და I2.3 (1) და I2.4 (1)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	ინდიკატორი აფასებს პრევენციული პროგრამებით ინტეგრირებული მოცვას	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი			
6. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა სტერილური საინექციო საშუალებით მომარაგება	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ბოლო 12 თვის მანძილზე პრევენციული პროგრამებისგან მიუღია სტერილური საინექციო საშუალება	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც დადებითად უპასუხობს შეკითხვას	I2.4 (1)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	ინდიკატორი აფასებს პრევენციული პროგრამებით მინიმალურ მოცვას	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი			

7. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა კონდომებით მომარაგება	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ბოლო 12 თვის მანძილზე პრევენციული პროგრამებისგან მიუღია კონდომი	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც დადებითად პასუხობს შეკითხვას	I2.1 (1)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	ინდიკატორი აფასებს პრევენციული პროგრამებით მინიმალურ მოცვას	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი			
8. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა საინფორმაციო მასალებით მომარაგება	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ბოლო 12 თვის მანძილზე პრევენციული პროგრამებისგან მიუღია საინფორმაციო მასალა	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც დადებითად პასუხობს შეკითხვას	I2 (2)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	ინდიკატორი აფასებს პრევენციული პროგრამებით მინიმალურ მოცვას	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი			
9. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა საგანამანათლებლო ინფორმაციით მოცვა	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ბოლო 12 თვის მანძილზე პრევენციული პროგრამებისგან მიუღია საგანამანათლებლო ინფორმაცია	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც დადებითად პასუხობს შეკითხვას	I2.3 (1)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	ინდიკატორი აფასებს პრევენციული პროგრამებით მინიმალურ მოცვას	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი			
10. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ სტერილური საინექციო საშუალებების გამოყენება ნარკოტიკის ბოლო ინექციისას	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვინც ნარკოტიკის ბოლო ინექციისას გამოიყენა სტერილური ერთჯერადი ნემსი/შპრიცი/პეპელა	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს სტერილური საინექციო საშუალებების გამოყენებას ბოლო ინექციისას	C2.1 (2) და C2.2 (2)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	ინდიკატორი აფასებს ნარკოტიკის ინექციურ მოხმარებასთან დაკავშირებულ სარისკო ქცევას	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი			

11. უსაფრთხო ინექცია ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის ნარკოტიკის ბოლო ინექციისას	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ნარკოტიკის ბოლო ინექციისას არ გამოუყენებია: ადრე სხვის ან თავის მიერ ნახმარი ნემსი/შპრიცი; თავშეყრის ადგილას დატოვებული ნემსი/შპრიცი; სხვის მიერ წინასწარ შევსებული შპრიცი; შპრიცი, რომელიც შეივსო სხვისი ნახმარი შპრიციდან; სავარუდოდ დაბინძურებული საზიარო საინექციო ატრიბუტიკა (ჭურჭელი/ ბამბა/ ფილტრი/წყალი); საერთო კონტეინერიდან ნარკოტიკის ხსნარი, რომელიც მისი თანდასწრების გარეშე მომზადდა;	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც უარყოფითად პასუხობს შვიდივე შეკითხვას	C2.1 (2) და C2.2 (2) და C2.3 (2) და C20.1 - C20.5 (2)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	ინექციური ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული აივ ინფექციის გავრცელება რამდენიმე ფაქტორით განისაზღვრება, როგორცაა: (i) აივ ეპიდემიის გავრცელება; (ii) ინექციური ნარკოტიკების მოხმარების გავრცელება; (iii) ინმ-ების მიერ დაბინძურებული საინექციო ინსტრუმენტების გამოყენების გავრცელება; (iv) სქესობრივი კავშირები და კონდომის გამოყენება ინმ-ებს შორის და ინმ-ებს და ზოგადი პოპულაციის წარმომადგენლებს შორის. ინდიკატორი იძლევა ინფორმაციას მე-3 ფაქტორზე.	UNGASS ინდიკატორი #20 ინდიკატორი ადაპტირებულია საქართველოსთვის.
	მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციას ბოლო თვის განმავლობაში	ყველა რესპონდენტი				
12. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ კონდომის გამოყენება ბოლო სქესობრივი კავშირისას	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ჰქონდა სქესობრივი კავშირი ბოლო 12 თვეში და გამოიყენა კონდომი ბოლო სქესობრივი კავშირისას	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც ადასტურებს კონდომის გამოყენებას ბოლო სქესობრივი კავშირისას	D3.5 (1)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	იხ. ზემოთ. ინდიკატორი იძლევა ნაწილობრივ ინფორმაციას მე-4 ფაქტორზე.	UNGASS ინდიკატორი #21 ინდიკატორი ადაპტირებულია საქართველოსთვის. UNGASS-ის მიერ

		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციას ბოლო თვეში და სქესობრივ კავშირს ბოლო 12 თვეში	D2 (1)			მოწოდებულია კონდომის გამოყენების შესწავლა იმ რესპონდენტებში, ვისაც <i>ბოლო თვის</i> მანძილზე ჰქონდა კონტაქტი ფასიან სქესობრივ პარტნიორთან. ვინაიდან ასეთი რესპონდენტების რა-ბა მცირეა საქართველოსთვის აღებულია <i>ბოლო 12 თვის პერიოდი</i> .
13. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ კონდომის გამოყენება რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირისას	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ჰქონდა სქესობრივი კავშირი ბოლო 12 თვეში და გამოიყენა კონდომი რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირისას	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც ადასტურებს კონდომის გამოყენებას რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირისას	E1 (1) და E1.2 (1)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	იხ. ზემოთ. ინდიკატორი იძლევა ნაწილობრივ ინფორმაციას მე-4 ფაქტორზე.	ნაციონალური ინდიკატორი.
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციას ბოლო თვეში და სქესობრივ კავშირს რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვეში	E1 (1)			
14. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ კონდომის გამოყენება შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ჰქონდა სქესობრივი კავშირი ბოლო 12 თვეში და გამოიყენა კონდომი შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც ადასტურებს კონდომის გამოყენებას შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირისას	E3 (1) და E3.2 (1)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	იხ. ზემოთ. ინდიკატორი იძლევა ნაწილობრივ ინფორმაციას მე-4 ფაქტორზე.	ნაციონალური ინდიკატორი

სქესობრივი კავშირისას	კავშირისას	მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციას ბოლო თვეში და სქესობრივ კავშირს შემთხვევით სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვეში	E3 (1)			
15. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა მიერ კონდომის გამოყენება ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირისას	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ჰქონდა სქესობრივი კავშირი ბოლო თვეში და გამოიყენა კონდომი ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირისას	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც ადასტურებს კონდომის გამოყენებას ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირისას	E2 (1) და E2.2 (1)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	იხ. ზემოთ. ინდიკატორი იძლევა ნაწილობრივ ინფორმაციას მე-4 ფაქტორზე.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციას ფასიან სქესობრივ პარტნიორთან ბოლო თვეში და სქესობრივ კავშირს ბოლო 12 თვეში	E2 (1)			
16. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა ცოდნა აივ ინფექციის სქესობრივი გზით გავრცელების	ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, რომელთაც იციან რომ: აივ ინფექციის გადაცემის რისკის შემცირება შესაძლებელია ერთი, ერთგული,	მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც პასუხობს ხუთივე შეკითხვას	H6.1 (1) და H6.2 (1) და H6.3 (1) და H6.4 (2) და H6.5 (2)	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	ცრუ წარმოდგენა, რომ გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია ხელს უწყობს დაუცველ სქესობრივ	UNGASS ინდიკატორი #14 პირველი სამი შეკითხვა არ უნდა შეიცვალოს, მე-4 და მე-5 შეკითხვა

<p>პრევენციის გზების შესახებ და აივ-ის გადაცემის გზებზე გავრცელებული მცდარი მოსაზრებების უარყოფა</p>	<p>არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში; აივ-ის გადაცემის რისკი მცირდება კონდომის გამოყენებით ყოველი სქესობრივი კონტაქტის დროს; გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია; აივ ინფექცია არ გადაეცემა კოლოს კბენით; აივ ინფექცია არ გადადის აივ ინფიცირებულთან საკვების გაზიარებით</p>	<p>მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც პასუხობს ხუთივე კითხვაზე "არ ვიცი"-ს ჩათვლით. რესპონდენტები, რომელთაც არ სმენიათ აივ/შიდსის შესახებ უნდა ჩაითვალოს მნიშვნელში.</p>	<p>ყველა რესპონდენტი</p>		<p>კავშირს. ცრუ წარმოდგენების უარყოფა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც გადაცემის გზების ცოდნა</p>	<p>შეიძლება შეიცვალოს ქვეყანაში ყველაზე მეტად გავრცელებული მცდარი წარმოდგენების შესაბამისად.</p>
<p>17. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა ცოდნა აივ ინფექციის სქესობრივი და საინექციო გზებით გავრცელების შესახებ</p>	<p>ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, რომელთაც იციან რომ: აივ ინფექციის გადაცემის რისკის შემცირება შესაძლებელია ერთი, ერთგული, არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში; აივ-ის გადაცემის რისკი მცირდება კონდომის გამოყენებით ყოველი სქესობრივი კონტაქტის დროს; გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია; პირი შეიძლება დაავადდეს აივ-ინფექციით,</p>	<p>მრიცხველი: ინმ-თა რაოდენობა, რომელიც სწორად პასუხობს შვიდივე შეკითხვას</p>	<p>H6.1 (1) და H6.2 (1) და H6.3 (1) და H6.6 (1) და H6.7 (1) და H6.8 (1) და H6.9 (1)</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	<p>ინდიკატორი იძლევა ინფორმაციას ცოდნაზე აივ-ის გადაცემის გზების შესახებ აქცენტით ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებულ ქცევებზე</p>	<p>ნაციონალური ინდიკატორი</p>
		<p>მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც პასუხობს შვიდივე კითხვაზე "არ ვიცი"-ს ჩათვლით. რესპონდენტები, რომელთაც არ სმენიათ აივ/შიდსის შესახებ უნდა ჩაითვალოს მნიშვნელში.</p>	<p>ყველა რესპონდენტი</p>			

	<p>თუკი ის გამოიყენებს სხვის მიერ გამოყენებულ საინექციო საშუალებას; სავარაუდოდ დაბინძურებულ საზიარო საინექციო ატრიბუტიკას (ჭურჭელი/ ზამბა/ ფილტრი/ წყალი) და მისი თანდასწრების გარეშე მომზადებულ საინექციო ხსნარს საერთო კონტეინერიდან; ნარკოტიკის მომხმარებელმა პირმა შეიძლება დაიცვას თავი აივ ინფექციისგან არაინექციურ ნარკოტიკზე გადასვლით</p>	<p>მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც ტესტირებულია აივ-ზე და რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციას ბოლო თვის განმავლობაში</p>	<p>ტესტირებულთა რაოდენობა</p>			
<p>18. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა კვალიფიციური მკურნალობა და სპეციფიკური დახმარება ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო</p>	<p>ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ბოლო 12 თვის მანძილზე მიუღია კვალიფიციური მკურნალობა და სპეციფიკური დახმარება ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო</p>	<p>მრიცხველი: ინმ-ების რაოდენობა, ვინც ადასტურებს, რომ ჩატარებული აქვს კვალიფიციური მკურნალობა და სპეციფიკური დახმარება ბოლო 12 თვის მანძილზე</p> <p>მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციას ბოლო თვის განმავლობაში</p>	<p>C27.1 (1) ან C27.2 (1) ან C27.3 (1) ან C27.4 (1) ან C27.5 (1) ან C27.6 (1) ან C27.7 (1)</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	<p>ინდიკატორი ასახავს სამკურნალო პროგრამებით ინმ-ების მოცვას</p>	<p>ნაციონალური ინდიკატორი</p>
<p>19. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართვიანობა ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული</p>	<p>ინმ-ებში იმ პირთა პროცენტი, ვისაც ბოლო 12 თვის მანძილზე მიუმართავს სამედიცინო პერსონალისთვის /სპეციალიზირებული ცენტრისთვის</p>	<p>მრიცხველი: ინმ-ების რაოდენობა, ვინც ადასტურებს, რომ მიუმართავს სამკურნალოდ / სპეციფიკური დახმარების მისაღებად ბოლო 12 თვის განმავლობაში</p>	<p>C25 (1)</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: $\leq 24 / \geq 25$ 	<p>ინდიკატორი ასახავს ინმ-ების მოთხოვნილებას სამკურნალო სერვისებზე</p>	<p>ნაციონალური ინდიკატორი</p>

<p>პრობლემების მკურნალობისათვის</p>	<p>სამკურნალოდ/ სპეციფიკური დახმარების მისაღებად ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო</p>	<p>მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციას ბოლო თვის განმავლობაში</p>	<p>ყველა რესპონდენტი</p>				
<p>20. სამართლებრივი პასუხისმგებლობა ინექციური ნარკოტიკის მოხმარების გამო</p>	<p>ინმ-ებში იმ პირების პროცენტი, ვინც ნარკოტიკის მოხმარების გამო ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი წესით დაჯარიმდა, ან იმყოფებოდა საპატიმროში ბოლო ერთი წლის განმავლობაში</p>	<p>მრიცხველი: ინმ-ების რაოდენობა, ვინც დადებითად პასუხობს სულ მცირე ერთ შეკითხვას</p> <p>მნიშვნელი: ინმ რესპონდენტთა საერთო რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციას ბოლო თვის განმავლობაში</p>	<p>A12.1(1) ან A12.2 (1) ან A12.3</p>	<p>ყველა რესპონდენტი</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ სქესი ▪ ასაკი: ≤24 / ≥ 25 		<p>ნაციონალური ინდიკატორი</p>

II. ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცები

დასახელება	აღწერილობა	კალკულაციის მეთოდი	კითხვარი / შეკითხვა	დეზაგრეგაცია	ინტერპრეტაცია	შენიშვნა
1. აივ-ის პრევალენტობა ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებში	ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებში აივ ინფიცირებულ პირთა პროცენტი	მრიცხველი: აივ ინფიცირებულ MSM-ების რაოდენობა	დადებითი კონფირმაციული ტესტი აივ-ზე	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი აფასებს სამიზნე ჯგუფში აივ ინფექციის გავრცელებას	UNGASS ინდიკატორი #23
		მნიშვნელი: აივ-ზე ტესტირებული რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა	ტესტირებულთა რაოდენობა			
2. ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებს შორის აივ-ზე ტესტირების მაჩვენებელი	ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებში იმ პირთა პროცენტი, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე აივ ინფექციაზე ჩაიტარა ტესტირება და შეიტყო შედეგი	მრიცხველი: იმ MSM-ების რაოდენობა, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე აივ ინფექციაზე ჩაიტარა ტესტირება და შეიტყო შედეგი	M7. (1) და M9. (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი აფასებს სამიზნე ჯგუფში ნკტ სერვისების ხელმისაწვდომობას, ასევე ამ სერვისებისადმი მიმართვიანობას	UNGASS ინდიკატორი #8
		მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			
3. ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების პრევენციული პროგრამებით მოცვა	ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებში იმ პირთა პროცენტი, ვინც იცის, თუ სად არის შესაძლებელი აივ-ზე კონფიდენციალური	მრიცხველი: იმ MSM-ების რაოდენობა, ვინც დადებითად პასუხობს ორივე შეკითხვას	M5. (1) და J3. (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი აფასებს სამიზნე ჯგუფის მოცვას პრევენციული პროგრამების მინიმალური პაკეტით.	UNGASS ინდიკატორი #9

	ტესტირების ჩატარება, და ბოლო 12 თვის მანძილზე პრევენციული პროგრამებისგან მიუღია კონდომი	მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			
4. ცოდნა აივ-ის პრევენციის შესახებ ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებში	ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების პროცენტი, ვინც იცის, რომ: აივ ინფექციის გადაცემის რისკის მცირდება ერთი, ერთგული, არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში; აივ-ის გადაცემის რისკი მცირდება კონდომის გამოყენებით ყველა სქესობრივი კონტაქტის დროს; გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია; აივ ინფექცია არ გადაეცემა კოლოს კბენით; აივ ინფექცია არ გადადის აივ ინფიცირებულთან საკვების გაზიარებით	მრიცხველი: იმ MSM-ების რაოდენობა, ვინც სწორად პასუხობს ხუთივე შეკითხვას	M3. 1 (1) და M3.2 (1) და M3. 3 (1) და M3.4 (2) და M3. 5 (2)	ასაკი: $\leq 24 / \geq 25$	ცრუ წარმოდგენა, რომ გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია, ხელს უწყობს დაუცველ სქესობრივ კავშირებს. ცრუ წარმოდგენების უარყოფა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც გადაცემის გზების ცოდნა	UNGASS ინდიკატორი #14
		მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა რესპონდენტები, რომელთაც არ სმენიათ აივ/შიდსის შესახებ უნდა ჩაითვალოს მნიშვნელში.	ყველა რესპონდენტი			
5. ცოდნა აივ-ის პრევენციის შესახებ ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებს შორის (ნაციონალური ინდიკატორი)	ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების პროცენტი, ვინც იცის, რომ: აივ ინფექციის გადაცემის რისკის მცირდება ერთი, ერთგული, არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის	მრიცხველი: იმ MSM-ების რაოდენობა, ვინც დადებითად პასუხობს ოთხივე შეკითხვას	M3. 1 (1) და M3.2 (1) და M3.3 (1) და M3. 7(1)	ასაკი: $\leq 24 / \geq 25$	ინდიკატორი იძლევა დამატებით ინფორმაციას ქვეყნისთვის დამახასიათებელი ცრურწმენის შესახებაც („პირველი სისხლის ჯგუფის მქონე ადამიანს არ შეიძლება, დაემართოს აივ	ნაციონალური ინდიკატორი

	<p>ყოლის შემთხვევაში; აივ-ის გადაცემის რისკი მცირდება კონდომის გამოყენებით ყველა სქესობრივი კონტაქტის დროს;; გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია; აივ ინფექცია შეიძლება დაემართოს პირველი ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანს.</p>	<p>მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა</p> <p>რესპონდენტები, რომელთაც არ სმენიათ აივ/შიდსის შესახებ უნდა ჩაითვალოს მნიშვნელში.</p>	ყველა რესპონდენტი		ინფექცია და სგვი“). ცოდნა ფასდება ამ ცრურწმენის უარყოფის ჩათვლითაც.	
<p>6. კონდომის გამოყენება ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს მამრობითი სქესის პარტნიორთან</p>	<p>MSM-ების პროცენტი, ვისაც ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი ბოლო 12 თვეში და ვინც გამოიყენა კონდომი ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს მამრობითი სქესის პარტნიორთან</p>	<p>მრიცხველი: იმ MSM-ების რაოდენობა, ვინც გამოიყენა კონდომი ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს</p> <p>მნიშვნელი: იმ რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა, ვინც აღნიშნა, რომ ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი მამაკაც პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში</p>	<p>C8. (1)</p> <p>C7. (1)</p>	<p>ასაკი: ≤24 / ≥ 25</p>	<p>მოსალოდნელია, რომ ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს კონდომის გამოყენების ტენდენცია კარგად ასახავს კონდომის მუდმივი გამოყენების ტენდენციას. ეს ინდიკატორი ზომავს პროგრესს უსაფრთხო ქცევის მიმართულებით ისეთი ანალური კონტაქტების აღრიცხვით, რომლებიც დაცულია და გამორიცხავს აივ-ის გადაცემას.</p>	<p>UNGASS ინდიკატორი #19</p>
<p>7. კონდომის გამოყენება ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს მამრობითი სქესის შემთხვევით პარტნიორთან</p>	<p>MSM-ების პროცენტი, ვისაც ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი მამრობითი სქესის შემთხვევით პარტნიორთან ბოლო 12 თვეში და ვინც გამოიყენა კონდომი ასეთ პარტნიორთან ბოლო</p>	<p>მრიცხველი: იმ MSM-ების რაოდენობა, ვინც გამოიყენა კონდომი ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს შემთხვევით მამაკაც პარტნიორთან</p>	E2. (1)	<p>ასაკი: ≤24 / ≥ 25</p>	<p>მოსალოდნელია, რომ ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს კონდომის გამოყენების ტენდენცია კარგად ასახავს კონდომის მუდმივი გამოყენების ტენდენციას. ეს ინდიკატორი ზომავს</p>	

	ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს	მნიშვნელი: იმ რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა, ვინც აღნიშნა, რომ ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი შემთხვევით მამაკაც პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	E1. (1)		პროგრესს უსაფრთხო ქცევის მიმართულებით ისეთი ანალური კონტაქტების აღრიცხვით, რომლებიც ხდება შემთხვევით პარტნიორებთან, დაცულია და გამორიცხავს აივ-ის გადაცემას.	
8. კონდომის გამოყენება ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს მამრობითი სქესის რეგულარულ პარტნიორთან	MSM-ების პროცენტი, ვისაც ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი მამრობითი სქესის რეგულარულ პარტნიორთან ბოლო 12 თვეში და ვინც გამოიყენა კონდომი ასეთ პარტნიორთან ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს	მრიცხველი: იმ MSM-ების რაოდენობა, ვინც გამოიყენა კონდომი ბოლო ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს რეგულარულ მამაკაც პარტნიორთან	D2. (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	მოსალოდნელია, რომ ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს კონდომის გამოყენების ტენდენცია კარგად ასახავს კონდომის მუდმივი გამოყენების ტენდენციას. ეს ინდიკატორი ზომავს პროგრესს უსაფრთხო ქცევის მიმართულებით ისეთი ანალური კონტაქტების აღრიცხვით, რომლებიც ხდება რეგულარულ პარტნიორთან, დაცულია და გამორიცხავს აივ-ის გადაცემას.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: იმ რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა, ვინც აღნიშნა, რომ ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი რეგულარულ მამაკაც პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	D1. (1)			
9. კონდომის გამოყენება ბოლო ანალური კონტაქტის დროს მამრობითი სქესის კომერციულ მუშაკთან	MSM-ების პროცენტი, ვინც აღნიშნავს კონდომის გამოყენებას კომერციულ სექს-მუშაკ მამაკაცთან ბოლო ანალური სქესობრივი კავშირის დროს	მრიცხველი: MSM-ების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კონდომის გამოყენებას კომერციულ სექს-მუშაკ მამაკაცთან ბოლო ანალური სქესობრივი კავშირის დროს	F2. (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ეს ინდიკატორი ზომავს პროგრესს უსაფრთხო ქცევის მიმართულებით ისეთი ანალური კონტაქტების აღრიცხვით, რომლებიც დაცულია და	ნაციონალური ინდიკატორი

		მნიშვნელი: MSM-ების რაოდენობა, ვინც აღნიშნა, რომ ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი კომერციულ მამაკაც პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	F1. (1)		გამორიცხავს აივ-ის გადაცემას, მაგრამ სპეციფიკურია ისეთი სქესობრივი აქტის კუთხით, რომელიც მატერიალური ანაზღაურების სანაცვლოდ მიმდინარეობს.	
10. მამრობითი სქესის პარტნიორების რაოდენობა	მამრობითი სქესის პარტნიორების რაოდენობის მედიანა ბოლო 12 თვის განმავლობაში	მამრობითი სქესის პარტნიორების რაოდენობის მედიანა ბოლო 12 თვის განმავლობაში	(C3.a + C3.b + C3.c)-ის მედიანა	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საკვლევ ჯგუფში არსებული სარისკო ფაქტორის - მრავალი პარტნიორის ყოლის შესახებ.	ნაციონალური ინდიკატორი
11. ნარკოტიკების ინექციური მოხმარება ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცებში	MSM-ების პროცენტი, ვინც გამოიყენა ნარკოტიკები ინექციური გზით ბოლო 12 თვის განმავლობაში	მრიცხველი: MSM-ების რაოდენობა, ვინც გამოიყენა ნარკოტიკები ინექციური გზით ბოლო 12 თვის განმავლობაში	B2. (2)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად გავრცელებულია ნარკოტიკების ინექციური მოხმარება სამიზნე ჯგუფში. მნიშვნელოვანია ამ ინდიკატორის კონტროლი, რადგან თუ მსგავსი სურათი საქართველოშიც დამკვიდრდა, პრევენციული პროგრამების დაგეგმვა არსებითად შეიცვლება.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			
12. კონდომის მუდმივი გამოყენება მამრობითი სქესის პარტნიორებთან ანალური კონტაქტის დროს	MSM-ების პროცენტი, ვისაც ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი ბოლო 12 თვეში და ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას მამრობითი სქესის პარტნიორებთან ანალური	მრიცხველი: MSM-ების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას მამრობითი სქესის პარტნიორებთან ანალური კონტაქტის დროს	C9. (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი დამატებით ინფორმაციას მოგვცემს სარისკო ქცევის შესახებ ზოგადად მამრობით პარტნიორებთან. დაუცველი ანალური სქესობრივი კავშირის ინდიკატორის	ნაციონალური ინდიკატორი

	კონტაქტის დროს	მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა, ვინც აღნიშნა, რომ ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი მამაკაც პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	C7. (1)		გამოსათვლელად გამოიყენება MSM ის რაოდენობა რომელიც არ აღნიშნავს კონდომების მუდმივ გამოყენებას ანალური სქესობრივი კავშირის დროს.	
13. კონდომის მუდმივი გამოყენება მამრობითი სქესის შემთხვევით პარტნიორებთან ანალური კონტაქტის დროს	MSM-ების პროცენტი, ვისაც ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი შემთხვევით მამრობით პარტნიორებთან ბოლო 12 თვეში და ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას ასეთ პარტნიორებთან ანალური კონტაქტის დროს	მრიცხველი: MSM-ების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას მამრობითი სქესის შემთხვევით პარტნიორებთან ანალური კონტაქტის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში	E4. (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი დამატებით ინფორმაციას მოგვცემს სარისკო ქცევის შესახებ მამრობითი სქესის შემთხვევით პარტნიორებთან. დაუცველი ანალური სქესობრივი კავშირის ინდიკატორის გამოსათვლელად გამოიყენება MSM ის რაოდენობა რომელიც არ აღნიშნავს კონდომების მუდმივ გამოყენებას ანალური სქესობრივი კავშირის დროს.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა, ვინც აღნიშნა, რომ ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი შემთხვევით მამაკაც პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	E1. (1)			
14. კონდომის მუდმივი გამოყენება მამრობითი სქესის რეგულარულ პარტნიორებთან ანალური კონტაქტის დროს	MSM-ების პროცენტი, ვისაც ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი რეგულარულ მამრობით პარტნიორთან ბოლო 12 თვეში და ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას ასეთ პარტნიორებთან ანალური	მრიცხველი: MSM-ების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას მამრობითი სქესის რეგულარულ პარტნიორებთან ანალური კონტაქტის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში	D4. (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი დამატებით ინფორმაციას მოგვცემს სარისკო ქცევის შესახებ მამრობითი სქესის რეგულარულ პარტნიორთან. დაუცველი ანალური სქესობრივი კავშირის ინდიკატორის გამოსათვლელად	ნაციონალური ინდიკატორი

	კონტაქტის დროს	მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების საერთო რაოდენობა, ვინც აღნიშნა, რომ ჰქონდა ანალური სქესობრივი კონტაქტი რეგულარულ მამაკაც პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	D1. (1)		გამოიყენება MSM ის რაოდენობა რომელიც არ აღნიშნავს კონდომების მუდმივ გამოყენებას ანალური სქესობრივი კავშირის დროს.	
15. კონდომის მუდმივი გამოყენება მამრობითი სქესის კომერციულ პარტნიორებთან ანალური სქესობრივი კონტაქტების დროს	MSM-ების პროცენტი, ვისაც ჰყავდა მამრობითი სქესის ფასიანი სქესობრივი პარტნიორი ბოლო 12 თვეში და ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას მამრობითი სქესის კომერციულ პარტნიორებთან	მრიცხველი: MSM-ების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას მამრობითი სქესის კომერციულ პარტნიორებთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	F4. (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი დამატებით ინფორმაციას მოგვცემს კომერციულ პარტნიორებთან სარისკო ქცევის შესახებ. დაუცველი ანალური სქესობრივი კავშირის ინდიკატორის გამოსათვლელად გამოიყენება MSM ის რაოდენობა რომელიც არ აღნიშნავს კონდომების მუდმივ გამოყენებას ანალური სქესობრივი კავშირის დროს.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კომერციული პარტნიორის ყოლას ბოლო 12 თვის განმავლობაში	F1. (1)			
16. კონდომის გამოყენება მდედრობითი სქესის პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს	MSM-ების პროცენტი, ვისაც ჰქონდა სქესობრივი კონტაქტი მდედრობითი სქესის პარტნიორთან ბოლო 12 თვეში და ვინც აღნიშნავს კონდომის გამოყენებას მდედრობითი სქესის პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს	მრიცხველი: MSM-ების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კონდომის გამოყენებას მდედრობითი სქესის პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს	H4. (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი იძლევა ინფორმაციას ქალ პარტნიორებთან სარისკო ქცევის შესახებ.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: რესპონდენტი MSM-ების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს მდედრობითი პარტნიორის ყოლას ბოლო 12 თვის განმავლობაში.	H2. (1)			

III. კომერციული სექსის მუშაკები

დასახელება	აღწერილობა	კალკულაციის მეთოდი	კითხვარი / შეკითხვა	დეზაგრეგაცია	ინტერპრეტაცია	შენიშვნა
1. აივ პრევალენტობა კომერციული სექსის მუშაკებში	კომერციულ სექს-მუშაკებში აივ დადებით პირთა პროცენტი	მრიცხველი: აივ დადებითი სექს-მუშაკების რაოდენობა	დადებითი კონფირმაციული ტესტი აივ-ზე	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი აფასებს სამიზნე ჯგუფში აივ ინფექციის გავრცელებას	UNGASS ინდიკატორი #23
		მნიშვნელი: აივ-ზე ტესტირებული რესპონდენტი სექს-მუშაკების საერთო რაოდენობა	ტესტირებულთა რაოდენობა			
2. სექს-მუშაკებს შორის აივ-ზე ტესტირების მაჩვენებელი	სექს-მუშაკებში იმ პირთა პროცენტი, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე ჩაიტარა აივ ინფექციაზე ტესტირება და შეიტყო შედეგი	მრიცხველი: იმ სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც ბოლო 12 თვის მანძილზე ჩაიტარა აივ ინფექციაზე ტესტირება და შეიტყო შედეგი	J11 (1) და J12 (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი აფასებს სამიზნე ჯგუფში ნკტ სერვისების ხელმისაწვდომობას, ასევე ამ სერვისებისადმი მიმართვიანობას	UNGASS ინდიკატორი #8
		მნიშვნელი: რესპონდენტი სექს-მუშაკების საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			
3. კომერციული სექსის მუშაკთა პრევენციული პროგრამებით მოცვა	სექს-მუშაკებს შორის იმ პირთა პროცენტი, ვინც იცის, თუ სად არის შესაძლებელი აივ-ზე კონფიდენციალური ტესტირების ჩატარება და ბოლო 12 თვის მანძილზე პრევენციული პროგრამებისგან მიუღიათ კონდომი	მრიცხველი: იმ სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც დადებითად პასუხობს ორივე შეკითხვას	J8 (1) და G3 (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი აფასებს სამიზნე ჯგუფის მოცვას პრევენციული პროგრამების მინიმალური პაკეტით.	UNGASS ინდიკატორი #9
		მნიშვნელი: რესპონდენტი სექს-მუშაკების საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			

<p>4. სექს-მუშაკების ცოდნა აივ ინფექციის სქესობრივი გზით გავრცელების პრევენციის გზების შესახებ და აივ-ის გადაცემის გზებზე გავრცელებული მცდარი მოსაზრებების უარყოფა</p>	<p>სექს-მუშაკების პროცენტი, ვინც იცის, რომ: აივ ინფექციის გადაცემის რისკი მცირდება ერთი, ერთგული, არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში; აივ-ის გადაცემის რისკი მცირდება კონდომის გამოყენებით ყველა სქესობრივი კონტაქტის დროს; გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია; აივ ინფექცია არ გადაეცემა კოლოს კბენით; აივ ინფექცია არ გადადის აივ ინფიცირებულთან საკვების გაზიარებით</p>	<p>მრიცხველი: იმ სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც სწორად პასუხობს ხუთივე შეკითხვას</p>	<p>J3.1 (1) და J3.2 (1) და J3.3 (1) და J3.4 (2) და J3.5 (2)</p>	<p>ასაკი: ≤24 / ≥ 25</p>	<p>ცრუ წარმოდგენა, რომ გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია, ხელს უწყობს დაუცველ სქესობრივ კავშირებს. ცრუ წარმოდგენების უარყოფა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც გადაცემის გზების ცოდნა</p>	<p>UNGASS ინდიკატორი #14</p>
<p>5. სექს-მუშაკების ცოდნა აივ ინფექციის სქესობრივი გზით გავრცელების პრევენციის გზების შესახებ და აივ-ის გადაცემის გზებზე გავრცელებული მცდარი მოსაზრებების უარყოფა</p>	<p>სექს-მუშაკების პროცენტი, ვინც იცის, რომ: აივ ინფექციის გადაცემის რისკი მცირდება ერთი, ერთგული, არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში; აივ-ის გადაცემის რისკი მცირდება კონდომის გამოყენებით ყველა სქესობრივი კონტაქტის დროს; გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია; პირველი სისხლის ჯგუფის მქონე ადამიანს შეიძლება დაემართოს აივ ინფექცია</p>	<p>მრიცხველი: იმ სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც დადებითად პასუხობს ოთხივე შეკითხვას</p>	<p>J3.1 (1) და J3.2 (1) და J3.3 (1) და J3.7 (2)</p>	<p>ასაკი: ≤24 / ≥ 25</p>	<p>ინდიკატორი იძლევა დამატებით ინფორმაციას ქვეყნისთვის დამახასიათებელი ცრურწმენის შესახებაც („პირველი სისხლის ჯგუფის მქონე ადამიანს არ შეიძლება, დაემართოს აივ ინფექცია და სგგი“). ცოდნა ფასდება ამ ცრურწმენის უარყოფის ჩათვლითაც.</p>	<p>ნაციონალური ინდიკატორი</p>

6. კონდომის გამოყენება ბოლო კლიენტთან სქესობრივი კონტაქტის დროს	სექს-მუშაკების პროცენტი, ვინც გამოიყენა კონდომი ბოლო კლიენტთან სქესობრივი კონტაქტის დროს	მრიცხველი: იმ სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც გამოიყენა კონდომი ბოლო კლიენტთან სქესობრივი კონტაქტის დროს	D3 (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი კონდომის მუდმივი გამოყენებაზე გადაფასებულ მონაცემს მოგვცემს. იგი ალტერნატიული მეთოდია იმის კითხვა, თუ რა სიხშირით გამოიყენებოდა კონდომი კლიენტებთან (ყოველთვის/ ხშირად/არასოდეს) დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხოლო ეს მეთოდი კი გახსენების გადახრას მოგვცემს. ზოგადად, მოსალოდნელია, რომ ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს კონდომის გამოყენების ტენდენცია ასახავს კონდომის მუდმივი გამოყენების ტენდენციას.	UNGASS ინდიკატორი #18
		მნიშვნელი: რესპონდენტი სექს-მუშაკების საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			
7. ნარკოტიკების ინექციური მოხმარება სექს-მუშაკებს შორის	სექს-მუშაკების პროცენტი, ვინც გამოიყენა ნარკოტიკები ინექციური გზით ბოლო 12 თვის განმავლობაში	მრიცხველი: იმ სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც მოიხმარა ნარკოტიკი ინექციური გზით ბოლო 12 თვის მანძილზე	A9 (2)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად გადამფარავია კომერციული სექსი და ნარკოტიკების ინექციური მოხმარება. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი პატერნი ძალიან გავრცელებულია. მნიშვნელოვანია ამ ინდიკატორი კონტროლი, რადგან თუ მსგავსი სურათი საქართველოშიც დამკვიდრდა, პრევენციული პროგრამების დაგეგმვა არსებითად შეიცვლება.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: რესპონდენტი სექს-მუშაკების საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			

8. კონდომის მუდმივი გამოყენება კლიენტებთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში	სექს-მუშაკების პროცენტი, ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას კლიენტებთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში	მრიცხველი: სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას კლიენტებთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში	D6 (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი დამატებით ინფორმაციას მოგვცემს კლიენტებთან სარისკო ქცევის შესახებ.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: რესპონდენტი სექს-მუშაკების საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			
9. კონდომის გამოყენება რეგულარულ პარტნიორთან ბოლო სექსობრივი კავშირის დროს	სექს-მუშაკების პროცენტი, ვინც აღნიშნავს კონდომის გამოყენებას რეგულარულ პარტნიორთან ბოლო სექსობრივი კავშირის დროს	მრიცხველი: სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კონდომის გამოყენებას რეგულარულ პარტნიორთან ბოლო სექსობრივი კავშირის დროს	F3 (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	სარისკო სქესობრივი ქცევა რეგულარულ პარტნიორთან, ასეთი პარტნიორის მიმართ სექს-მუშაკების დამოკიდებულების გამო, მაღალია. მოსალოდნელია, რომ ბოლო სექსობრივი კონტაქტის დროს კონდომის გამოყენების ტენდენცია ასახავს კონდომის მუდმივი გამოყენების ტენდენციას.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: რესპონდენტი სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს რეგულარული პარტნიორის ყოლას	F1≠0			
10. კონდომის მუდმივი გამოყენება რეგულარულ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	სექს-მუშაკების პროცენტი, ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას რეგულარულ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	მრიცხველი: სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს კონდომის მუდმივ გამოყენებას რეგულარულ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	F6 (1)	ასაკი: ≤24 / ≥ 25	ინდიკატორი დამატებით ინფორმაციას მოგვცემს რეგულარულ პარტნიორთან სარისკო ქცევის შესახებ.	ნაციონალური ინდიკატორი
		მნიშვნელი: რესპონდენტი სექს-მუშაკების რაოდენობა, ვინც აღნიშნავს რეგულარული პარტნიორის ყოლას	F1≠0			

IV. პატიმრები

დასახელება	აღწერილობა	კალკულაციის მეთოდი	კითხვარი / შეკითხვა	დეზაგრეგაცია	ინტერპრეტაცია	შენიშვნა
1. აივ პრევალენტობა პატიმრებში	პატიმრებში აივ ინფიცირებულ პირთა პროცენტი	მრიცხველი: აივ დადებით პატიმართა რაოდენობა	დადებითი კონფირმაციული ტესტი აივ-ზე	სქესი ასაკი: ≤ 19 20 – 24 25 – 54 ≥ 55	ინდიკატორი აფასებს სამიზნე ჯგუფში აივ ინფექციის გავრცელებას	UNGASS ინდიკატორი #23
		მნიშვნელი: აივ-ზე ტესტირებული პატიმრების საერთო რაოდენობა	აივ-ზე ტესტირებულები			
2. პატიმართა აივ-ზე ტესტირების მაჩვენებელი	იმ პატიმართა პროცენტი, რომლებმაც ბოლო 12 თვის მანძილზე ჩაიტარა აივ ინფექციაზე ტესტირება და შეიტყო შედეგი	მრიცხველი: იმ პატიმართა რაოდენობა, რომლებმაც ბოლო 12 თვის მანძილზე ჩაიტარა აივ ინფექციაზე ტესტირება და შეიტყო შედეგი	B9 <= 12 თვე და B10 (1)	სქესი ასაკი: ≤ 19 20 – 24 25 – 54 ≥ 55	ინდიკატორი აფასებს სამიზნე ჯგუფში ნკტ სერვისების ხელმისაწვდომობას	UNGASS ინდიკატორი #8
		მნიშვნელი: გამოკითხულ პატიმართა საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			
3. პატიმართა პრევენციული პროგრამებით მოცვა	იმ პატიმართა პროცენტი, რომლებმაც ბოლო 12 თვის მანძილზე მიიღო ინფორმაცია აივ/შიდსის პრევენციული მეთოდების შესახებ და შეთავაზება ანონიმური ტესტირების ჩასატარებლად	მრიცხველი: პატიმართა რაოდენობა, რომლებმაც ბოლო 12 თვის მანძილზე მიიღო ინფორმაცია აივ/შიდსის პრევენციული მეთოდების შესახებ და შეთავაზება ანონიმური ტესტირების ჩასატარებლად	B6 <= 12 თვე და H2(1) ან H2(2)	სქესი ასაკი: ≤ 19 20 – 24 25 – 54 ≥ 55	ინდიკატორი აფასებს სამიზნე ჯგუფის მოცვას პრევენციული პროგრამების მინიმალური პაკეტით.	UNGASS ინდიკატორი #9
		მნიშვნელი: გამოკითხულ პატიმართა საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			

<p>4. ცოდნა პატიმრებში აივ-ის სქესობრივი გზით გავრცელების გზების შესახებ და გავრცელებული მცდარი მოსაზრებების უარყოფა</p>	<p>იმ პატიმრების პროცენტი, რომელთაც იციან რომ: აივ ინფექციის გადაცემის რისკი მცირდება ერთი, ერთგული, არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში; აივ-ის გადაცემის რისკი მცირდება კონდომის გამოყენებით ყველა სქესობრივი კონტაქტის დროს; გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია; აივ ინფექცია არ გადაეცემა კოლოს კბენით; აივ ინფექცია არ გადადის აივ ინფიცირებულთან საკვების გაზიარებით</p>	<p>მრიცხველი: იმ პატიმართა რაოდენობა, რომლებიც სწორად პასუხობენ ხუთ ძირითად შეკითხვას</p> <p>მნიშვნელი: გამოკითხულ პატიმართა საერთო რაოდენობა</p> <p>რესპონდენტები, რომელთაც არ სმენიათ აივ/შიდსის შესახებ უნდა ჩაითვალოს მნიშვნელში.</p>	<p>B12.1 (1) და B12.2 (1) და B12.3 (1) და B12.4 (2) და B12.5 (2)</p> <p>ყველა რესპონდენტი</p>	<p>სქესი ასაკი: ≤ 19 $20 - 24$ $25 - 54$ ≥ 55</p>	<p>ცრუ წარმოდგენა, რომ გარეგნულად ჯანმრთელ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია, ხელს უწყობს დაუცველ სქესობრივ კავშირებს. ცრუ წარმოდგენების უარყოფა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც გადაცემის გზების ცოდნა</p>	<p>UNGASS ინდიკატორი #14</p>
<p>5. ცოდნა პატიმრებში აივ-ის სქესობრივი და საინექციო გზებით გავრცელების შესახებ</p>	<p>იმ პატიმრების პროცენტი, რომელთაც იციან რომ: აივ ინფექციის გადაცემის რისკი მცირდება ერთი, ერთგული, არაინფიცირებული სქესობრივი პარტნიორის ყოლის შემთხვევაში; აივ-ის გადაცემის რისკი მცირდება კონდომის გამოყენებით ყველა სქესობრივი კონტაქტის დროს; გარეგნულად ჯანმრთელ</p>	<p>მრიცხველი: იმ პატიმართა რაოდენობა, რომლებიც სწორად პასუხობენ შვიდივე ძირითად შეკითხვას</p>	<p>B12.1 (1) და B12.2 (1) და B12.3 (1) და B12.6 (1) და B12.7 (1) და B12.8 (1) და B12.9 (1)</p>	<p>სქესი ასაკი: ≤ 19 $20 - 24$ $25 - 54$ ≥ 55</p>		

	ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აივ ინფექცია; პირი შეიძლება დაავადდეს აივ-ინფექციით, თუკი ის გამოიყენებს სხვის მიერ გამოყენებულ საინექციო საშუალებას; სავარაუდოდ დაბინძურებულ საზიარო საინექციო ატრიბუტიკას (ჭურჭელი/ ბამბა/ ფილტრი/წყალი) და მისი თანდასწრების გარეშე მომზადებულ საინექციო ხსნარს საერთო კონტეინერიდან; ნარკოტიკის მომხმარებელმა პირმა შეიძლება დაიცვას თავი აივ ინფექციისგან არაინექციურ ნარკოტიკზე გადასვლით	მნიშვნელი: გამოკითხულ პაციმართა საერთო რაოდენობა რესპონდენტები, რომელთაც არ სმენიათ აივ/შიდსის შესახებ უნდა ჩაითვალოს მნიშვნელში.	ყველა რესპონდენტი			
6. დაუცველი სქესობრივი კავშირი პაციმრებში	პაციმართა პროცენტი, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონდათ დაუცველი სქესობრივი კავშირი ბოლო 12 თვის მანძილზე	მრიცხველი: იმ პაციმართა რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ დაუცველ სქესობრივ კავშირს ბოლო 12 თვის მანძილზე	D4 (2) ან D6 (3)	სქესი ასაკი: ≤ 19 20 – 24 25 – 54 ≥ 55		
		მნიშვნელი: გამოკითხულ პაციმართა საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			
7. კონდომის გამოყენება ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს	პაციმართა პროცენტი, რომლებმაც გამოიყენეს კონდომი ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს	მრიცხველი: პაციმართა რაოდენობა, რომლებმაც გამოიყენეს კონდომი ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს	D6 (1)	სქესი ასაკი: ≤ 19 20 – 24 25 – 54 ≥ 55	ვიანიდან თავისუფლების აღკვეთის პერიოდში აკრძალულია პაემნები ჰეტეროსექსუალური სქესობრივი კავშირები არ ხდება. შესაბამისად ეს ინდიკატორი ეხება მხოლოდ ანალურ ჰომოსექსუალურ კავშირებს	
		მნიშვნელი: იმ გამოკითხულ პაციმართა რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ სქესობრივ კავშირს ბოლო 12 თვის მანძილზე	D3 <= 12 თვე			

8. ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება	პატიმართა პროცენტი, რომლებმაც მოიხმარეს ნარკოტიკი ინექციური გზით ბოლო 12 თვის მანძილზე	მრიცხველი: პატიმართა რაოდენობა, რომლებმაც მოიხმარეს ნარკოტიკი ინექციური გზით ბოლო 12 თვის მანძილზე	E6 <=12თვე	სქესი ასაკი: ≤ 19 20 – 24 25 – 54 ≥ 55		
		მნიშვნელი: გამოკითხულ პატიმართა საერთო რაოდენობა	ყველა რესპონდენტი			
9. სხვის მიერ გამოყენებული შპრიცი/ნემსის გამოყენება	პატიმართა პროცენტი, რომლებმაც გამოიყენეს ზიარი შპრიცი/ნემსი ბოლო 12 თვის მანძილზე	მრიცხველი: პატიმართა რაოდენობა, რომლებმაც გამოიყენეს ზიარი შპრიცი/ნემსი ბოლო 12 თვის მანძილზე	F4 <=12თვე	სქესი ასაკი: ≤ 19 20 – 24 25 – 54 ≥ 55		
		მნიშვნელი: გამოკითხულ პატიმართა რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციური გზით მოხმარებას ბოლო 12 თვის მანძილზე	E6 <=12 თვე			
10. ზიარი საინექციო ატრიბუტიკის (ნარკოტიკების ინექციური მოხმარებისთვის) გამოყენება	პატიმართა პროცენტი, რომლებმაც გამოიყენეს ზიარი საინექციო ატრიბუტიკა (ნარკოტიკების ინექციური მოხმარებისთვის) ბოლო 12 თვის მანძილზე	მრიცხველი: პატიმართა რაოდენობა, რომლებმაც გამოიყენეს ზიარი საინექციო ატრიბუტიკა (ნარკოტიკების ინექციური მოხმარებისთვის) ბოლო 12 თვის მანძილზე	F9 <=12თვე	სქესი ასაკი: ≤ 19 20 – 24 25 – 54 ≥ 55		
		მნიშვნელი: გამოკითხულ პატიმართა რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ნარკოტიკის ინექციური გზით მოხმარებას ბოლო 12 თვის მანძილზე	E6 <=12 თვე			

11. ზიარი წემსის გამოყენება ტატუირებისათვის	პატიმართა პროცენტი, რომლებმაც გამოიყენეს ზიარი წემსი ტატუირებისთვის ბოლო 12 თვის მანძილზე	მრიცხველი: პატიმართა რაოდენობა, რომლებმაც გამოიყენეს ზიარი წემსი ტატუირებისთვის ბოლო 12 თვის მანძილზე	G3 <=12თვე	სქესი ასაკი: ≤ 19 20 – 24 25 – 54 ≥ 55		
		მნიშვნელი: გამოკითხულ პატიმართა რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს ტატუირების პრაქტიკას ბოლო 12 თვის მანძილზე	G1 (1)			

შერჩევის მეთოდოლოგიები

ეპიდზედამხედველობის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ფოკუსირება მოხდეს მოსახლეობის იმ ჯგუფებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინფექციის გავრცელებაში. მნიშვნელოვანია, ასევე, მოსახლეობის შერჩეულმა ქვე-ჯგუფებმა მოგვაწოდონ ინფორმაცია შემდეგზე: ა) სად და რომელ ჯგუფებში ვრცელდება აივ ინფექცია/შიდსი; და ბ) სად და რომელ ჯგუფებში არის გავრცელებული ის ქცევები, რომლებიც ხელს უწყობენ ინფექციის გავრცელებას. პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის დაფარული ჯგუფებიდან საკმარისი რაოდენობის რესპონდენტების “რეპრეზენტატიული შერჩევის” უზრუნველყოფა, რომელიც მიღებული შედეგების განზოგადოების საშუალებას მოგვცემს. პრობლემის განმაპირობებელი ფაქტორებია:

- მოსახლეობის ეს ნაწილი არის “დაფარული”
- მათთვის არ არსებობს შერჩევის ჩარჩო
- მათი ქცევა არის არალეგალური/ სტიგმატიზირებული, ამიტომ მეტწილად უარს ამბობენ კვლევაში მონაწილეობაზე

მაღალი რისკის ჯგუფებთან არ გამოიყენება შერჩევის შემდეგი მიდგომები:

შინამეურნეობების კვლევა

- “სამიზნე ჯგუფები” წარმოადგენენ მოსახლეობის მცირე ნაწილს და შესაბამისად, საჭიროა შერჩევის ძალიან დიდი ზომა;
- მათი ქცევა არის არალეგალური/ სტიგმატიზირებული და შესაბამისად, აქვთ ტენდენცია არ მიიღონ მონაწილეობა კვლევაში სხვისი თანდასწრებით;
- არ არსებობს შერჩევის ჩარჩო (არარეალურია ან ძალიან ძვირი ჯდება).

ზედამხედველობის მოსახერხებელი/ხელსაყრელი (convenience) მიდგომა

- ასეთ მიდგომას ძალუძს დაფაროს მოსახლეობის ქვე-ჯგუფების მხოლოდ მცირე ნაწილი
- იმ ადამიანების ქცევა და აივ/შიდსის სტატუსი, რომლებიც ვერ მოხვდნენ კონკრეტული კვლევის შენარჩევში, შესაძლოა იყოს განსხვავებული, შესაბამისად, დასკვნა შესაძლოა იყოს მცდარი.

მაღალი რისკის ჯგუფების კვლევის არა-ალბათური შერჩევის მეთოდი

„თოვლის გუნდის“ მეთოდი წარმოადგენს შერჩევის არა-ალბათურ მეთოდს და ზოგ შემთხვევაში (როდესაც სხვა მეთოდების¹ გამოყენება შეუძლებელია) ის გამოიყენება „მაღალი რისკის ჯგუფების“ კვლევებში. ეს მეთოდი გულისხმობს მოსახლეობის სამიზნე ქვე-ჯგუფებიდან “მარცვლების” (კვლევის საწყისი რესპონდენტების) შერჩევას, რომელთა მიერ ხდება კვლევის დანარჩენი რესპონდენტების შერჩევა მანამ, სანამ არ მიიღწევა შერჩევის სასურველი ზომა.

“მარცვლების” შერჩევა თეორიულად შემთხვევითად უნდა ხდებოდეს, თუმცა რეალურად ამის განხორციელება არ ხერხდება (“მარცვლების” შერჩევა უმეტესად ხდება ხელსაყრელი/მოსახერხებელი შერჩევის პრინციპით).

„თოვლის გუნდის“ მეთოდს ახასიათებს შერჩევის ცდომილება, რამდენადაც შერჩევა მთლიანად არის დამოკიდებული “მარცვლებზე” და, შესაბამისად არ არის რეპრეზენტატული მთლიანი ჯგუფის. „თოვლის გუნდის“ მეთოდი არ ზღუდავს მარცვლების მიერ შერჩეული რესპონდენტების რაოდენობას (ერთ „მარცვალს“ ეძლევა უფლება მოყვანოს იმდენი რესპონდენტი, რამდენის მოყვანაც შეუძლია). შესაბამისად, მეთოდი არ უზრუნველყოფს ჯგუფის სიღრმეში შესვლას, რის გამოც, აღნიშნული მეთოდი არ იძლევა მიღებული შედეგების მთლიან ჯგუფზე განზოგადების შესაძლებლობას.

მეთოდისთვის დამახასიათებელი შეზღუდვების მიუხედავად, ზოგ შემთხვევაში, ის არის ერთადერთი მეთოდი, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას ძნელად მისაწვდომი პოპულაციის საკვლევად. თუმცა, აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ მიღებული შედეგების მთლიან ჯგუფზე განზოგადება შეუძლებელია. „თოვლის გუნდის“ მეთოდი შესაძლოა გამოყენებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ:

- სამიზნე ჯგუფისთვის არ არის დამახასიათებელი ქსელურობა და/ან კონკრეტულ ადგილებში თავშეყრის ტენდენცია
- სამიზნე პოპულაციის წინასწარი შეფასება აჩვენებს, რომ ჯგუფის წევრებისთვის მიუღებელია როგორც რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევის მეთოდის პროცედურა, ასევე, ადგილისა და დროის მიხედვით შერჩევის მეთოდი
- რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევის და/ან ადგილისა და დროის მიხედვით შერჩევის მეთოდით დაწყებული კვლევა წარუმატებელია (შეჩერდა რეკრუტირების პროცესი „მარცვლების“ რაოდენობის გაზრდის მიუხედავად)

¹ ალბათური მეთოდების აღწერილობა ნახეთ ქვემოთ

მაღალი რისკის ჯგუფების კვლევის ალბათური შერჩევის მეთოდები

1. რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევა (RDS)

რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევა წარმოადგენს უახლეს მიდგომას ძნელად მისაწვდომი პოპულაციის კვლევაში და განიხილება, როგორც შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს „თოვლის გუნდის“ შერჩევის სახეობას, რამდენადაც ეყრდნობა მიმართვების ჯაჭვურ-კასკადურ პრინციპს, თუმცა „თოვლის გუნდის“ მეთოდისგან განსხვავებით ეს მეთოდი არ შემოისაზღვრება სამიზნე ჯგუფის მხოლოდ იმ წევრებით, რომლებიც იოლად ხელმისაწვდომნი არიან. შესაბამისად, რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევა ხასიათდება მაღალი ვალიდურობით.

მეთოდის აღწერა

- შერჩევის საწყის ეტაპზე ხდება ე.წ. „მარცვლების“ (კვლევის საწყისი რესპონდენტების) იდენტიფიცირება. რეკომენდებულია, რომ „მარცვლები“ წარმოადგენდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს და გეოგრაფიულ არეალს, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო შერჩევა არ არის დამოკიდებული წინასწარ შერჩეული „მარცვლები“-ს მახასიათებლებზე
- „მარცვლები“ იღებენ სპეციალურ ინსტრუქტაჟს და კუპონების (სპეციალური ბარათი, რომლის წარდგენაც აუცილებელი პირობაა კვლევაში ჩართვისთვის) განსაზღვრულ რაოდენობას. ამ კუპონების მეშვეობით ხდება კვლევის მომდევნო რესპონდენტების სწორად შერჩევა და მოწვევა კვლევაში
- თითოეულ შერჩეულ რესპონდენტს ეძლევა „კუპონი“
- თითოეულ კუპონს აქვს თავისი უნიკალური ნომერი და თარიღი (მოქმედების ვადა). მოქმედების ვადა შეესაბამება კვლევის ველის დაგეგმილ ხანგრძლივობას
- თუ რესპონდენტი თანახმაა კვლევაში მიიღოს მონაწილეობა, მისი შემრჩევი ამისათვის იღებს წახალისებას (მეორადი ჯილდო). თითოეული რესპონდენტი, ასევე, კვლევაში მონაწილეობისთვის იღებს წახალისებას (პირველადი ჯილდო)
- შემდგომში უკვე, თითოეულ რესპონდენტს, ვისთანაც ჩატარდება ინტერვიუ, ეძლევა კუპონები სხვა რესპონდენტების მოსაყვანად და პროცესი გრძელდება ვიდრე არ მიიღწევა შერჩევის სასურველი ზომა
- გამოკითხვა სრულად კონფიდენციალურია, არ ხდება რესპონდენტის პირადი ინფორმაციის დაფიქსირება (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია)

- “მარცვლებს” შეუძლიათ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის რესპონდენტების მოყვანა (მაქსიმუმ 3) - ეს არის ის, რაც განასხვავებს ამ მეთოდს “თოვლის გუნდის” მეთოდისგან
- კუპონების რაოდენობის შეზღუდვა უზრუნველყოფს ქსელის სიღრმეში შეღწევას და შესაბამისად, შერჩევის საბოლოო შემადგენლობა მინიმალურად არის დამოკიდებული “მარცვლები”-ს მახასიათებლებზე
- კუპონების ლიმიტი განსაზღვრავს შერჩევის გრძელ ჯაჭვს (შერჩევის „ტალღების“ სიმრავლე), რაც განაპირობებს მოსახლეობის ყველაზე მეტად “დაფარულ” ნაწილში შეღწევას
- ამ მეთოდით განხორციელებული კვლევის დროს ხდება შემრჩევსა (recruiter) და შერჩეულს (recruit) შორის არსებული კავშირის (relationship) დაფიქსირება (რაც არ ხდება “თოვლის გუნდის” შერჩევის დროს)
- ხდება, ასევე, თითოეული რესპონდენტის „სოციალური ქსელის ზომის“ დაფიქსირება, რაც იძლევა მონაცემთა შეწონილი ანალიზის გაკეთების საშუალებას. სოციალური ქსელი განისაზღვრება კონკრეტული ინდივიდის ნაცნობთა წრით (რაოდენობით), რომლებიც აკმაყოფილებენ კვლევაში ჩართვის ყველა კრიტერიუმს.

უპირატესობები

- მეთოდი არ მოითხოვს შერჩევის ჩარჩოს წინასწარ შექმნას (შერჩევის ჩარჩო ყალიბდება თვითონ შერჩევის პროცესში)
- ეფუძნება ორმაგი წახალისების სისტემას (ფინანსური, მეგობრის დაჟინებული თხოვნა), რაც ამცირებს უარების ალბათობას და ზრდის გამოპასუხების კოეფიციენტს
- ჯგუფის თითოეულ წევრს, ვისაც რაიმე სახის კავშირი აქვს ჯგუფის სხვა რომელიმე წევრთან, აქვს დადებითი შანსი მოხვდეს შერჩევაში
- ინტერვიუები ტარდება ფიქსირებულ ადგილას (შენობაში), შესაბამისად ნაკლებია შანსი ინტერვიუ არ შედგეს
- შერჩევა იძლევა საშუალებას შეფასდეს აღნიშნული ჯგუფის საერთო ზომა

შეზღუდვები

- შერჩევის ეს მეთოდი ჯერ კიდევ ექპერიმენტულ ფაზაშია
- მეთოდი გამოყენება ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებებში (რაიონული ცენტრები) ჩატარებული კვლევებისათვის მხოლოდ
- შერჩევა მგრძობიარეა წახალისების სისტემის მიმართ (თუ წახალისების მოცულობა მცირეა - შერჩევის პროცესი ნელდება; თუ წახალისების მოცულობა დიდია - შესაბამისად

დიდია ალბათობა იმისა, რომ კონკრეტულმა ინდივიდებმა “გაასაღონ თავი” რისკ-ჯგუფის წარმომადგენლად)

- კვლევის ჩატარება შერჩევის ამ მეთოდით მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს

მეთოდის 5 მთავარი მოთხოვნა:

1. სამიზნე ჯგუფისთვის დამახასიათებელი **ქსელურობა**
2. რეკრუტირების პროცესის სრული დოკუმენტირება კუპონების სისტემის მეშვეობით (ვინ ვინ მოიყვანა)
3. კუპონების რაოდენობის შეზღუდვა (მაქს. 3)
4. თითოეული რესპონდენტის სოციალური ქსელის ზომის დაფიქსირება
5. შემრჩევსა (recruiter) და შერჩეულს (recruit) შორის კავშირის არსებობა.

კვლევის ჩატარებამდე მიზანშეწონილია წინასწარი მოკვლევის ჩატარება, რათა დადგინდეს:

- სამიზნე ჯგუფის ქსელურობა
- სამიზნე ჯგუფის სტიგმატიზაციის ხარისხი
- წახალისების მოცულობა, ფორმა
- ინტერვიუების ჩატარების ადგილი


ანალიზი

რესპონდენტებზე ორიენტირებული შერჩევით ჩატარებული კვლევების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, ასევე, არის მონაცემების გაანალიზება სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში RDSAT.

ამ პროგრამის მთავარი უპირატესობები სხვა სტატისტიკურ პროგრამებთან შედარებით არის შემდეგი:

- პროგრამა მხედველობაში იღებს რესპონდენტების ინდივიდუალური ქსელის ზომას და საშუალებას იძლევა გაკეთდეს შეწონილი ანალიზი
- ახდენს დიაგნოსტიკას უზრუნველყო თუ არა კვლევის შერჩევამ გაჯერების წერტილის მიღწევა (შენარჩევი, რომელიც საკმარისია სტატისტიკურად სარწმუნო ანალიზის გასაკეთებლად, ანუ შენარჩევმა მიაღწია წონასწორობას (equilibrium), როდესაც მახასიათებლები აღარ იცვლება)
- ადვილად ხელმისაწვდომია (შესაძლებელია ლიცენზირებული ვერსიის უფასოდ ჩამოტვირთვა და გამოყენება).

გარდა RDSAT პროგრამისა, არსებობს სპეციალური დამხმარე პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა გრაფიკულად გამოვსახოთ რეკრუტირების პროცესი. ამ მიზნისთვის გამოიყენება სტატისტიკური პროგრამა NetDraw (იხილეთ რეკრუტირების პროცესის გრაფიკული ილუსტრაციის მაგალითი ქვემოთ).



გასაღები:

- ლურჯი წრე: კვლევის პირველი რესპონდენტები (მარცვლები)
- ცისფერი წრე: კვლევისათვის სერჩეული რესპონდენტები
- წითლად შემოხაზული სამკუთხედი: აივ-პოზიტიური რესპონდენტები

RDSAT პროგრამას გარკვეული შეზღუდვებიც გააჩნია, კერძოდ:

- პროგრამა ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა რეგრესიული ანალიზის გაკეთებას, საშუალო მაჩვენებლის გამოყვანას, ჯგუფებს შორის შედარებას. შესაბამისად ამგვარი ანალიზისთვის რეკომენდებულია შეწონილი მონაცემების გაანალიზება სხვა სტატისტიკურ პროგრამებში.
- მონაცემთა ანალიზი მოითხოვს ბაზის სპეციფიკურ კონსტრუირებას, რაც თავიდანვე უნდა იყოს გათვალისწინებული ბაზის დიზაინში.
- შეუძლებელია სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში ჩატარებული კვლევებიდან მიღებული მონაცემების გაერთიანება და რეგიონის ჭრილში გაანალიზება. ანალიზი RDSAT პროგრამაში კეთდება თითოეული კვლევის რეგიონისათვის ცალ-ცალკე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება შერჩევის არა-ალბათური მეთოდი, რაც მონაცემთა მთლიან ჯგუფზე განზოგადების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად შეზღუდავს.

2. შერჩევა ადგილისა და დროის მიხედვით (TLS)

შერჩევა ადგილისა და დროის მიხედვით (TLS), ასევე, წარმოადგენს შერჩევის ალბათურ მეთოდს, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის დაფარული, ძნელად მისაწვდომი ნაწილის საკვლევად. ეს მეთოდი ეფუძნება დაშვებას/ფაქტს, რომ მოსახლეობის დაფარული ნაწილის ერთი რომელიმე ჯგუფი ხასიათდება კონკრეტულ ადგილებში **თავშეყრის ტენდენციით**, მაგ. კომერციული სექს-მუშაკები იკრიბებიან ე.წ. ბორდელებში, ქუჩაში; ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცები - ბარებში, დისკოთეკებზე, ხოლო ნარკოტიკების მომხმარებლები - ნარკოტიკების გაყიდვის ადგილებში და ა.შ. შესაბამისად, ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პოპულაციის ნაწილისთვის თავშეყრის ტენდენცია არის დამახასიათებელი.

ადგილისა და დროის მიხედვით შერჩევის შემთხვევაში **წინასწარ ხდება ყველა ასეთი თავშეყრის ადგილის აღწერა**, რაც წინასწარი ეთნოგრაფიული კარტირების ან ზედამხედველობის წინარე შეფასების სავარჯიშოს სახით ხორციელდება და წინ უსწრებს კვლევის განხორციელებას. ამგვარად **შექმნილი ჩამონათვალი შემდგომ გამოიყენება, როგორც შერჩევის ჩარჩო**, საიდანაც მოგვიანებით ხდება კონკრეტული ადგილების რანდომული შერჩევა. შერჩეულ ადგილებში ხდება ყველა იმ წევრის ან რანდომულად შერჩეული შენარჩევის (ქვე-ჯგუფის) გამოკითხვა, რომელთა ნახვაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არის შესაძლებელი (მაგ. აღებულია დღის 3 საათიანი მონაკვეთი კვირის რანდომულად შერჩეულ დღეებში). რამდენადაც შესაძლებელია შერჩევის ალბათობის გამომანგარიშება, შერჩევა ადგილისა და დროის მიხედვით მიიჩნევა შერჩევის ალბათურ მეთოდად, რაც მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებას იძლევა.

შერჩევის ამ მეთოდის ღირებულებას განსაზღვრავს ა) ადგილის/დღის/დროის მონაკვეთის მკაცრად რანდომული შერჩევა, ბ) წევრების სისტემური შერჩევა უკვე შერჩეულ ადგილებზე და გ) ველის ხანგრძლივობა. შერჩევა ადგილისა და დროის მიხედვით, შემთხვევითი კლასტერული შერჩევის მსგავსად, ეფუძნება დაშვებას, რომ სამიზნე ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს თანაბარი შანსი მოხვდეს შერჩევაში. თანაბარ შანსს განსაზღვრავს რანდომულად **შერჩეული ადგილებისა და დროის მონაკვეთების საკმარისი რაოდენობა**.

წინა კვლევებით დასტურდება, რომ ამ მეთოდით ჩატარებული კვლევების ოპტიმალური ხანგრძლივობა არის 6-12 თვე.

პროცესის აღწერა

- **წინასწარი შეფასება:** მეორადი მონაცემების გადახედვა; იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოკითხვა, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ

სამიზნე ჯგუფებთან; სამიზნე ჯგუფის წევრების გამოკითხვა (სად იკრიბებიან, რა სარისკო ქცევებში არიან ჩართულნი, რა არის მათთან დაკავშირების საუკეთესო გზა და ა.შ.)

- **თავშეყრის ადგილების გენერალური ერთობლიობა/შერჩევის ჩარჩოს ფორმირება:** სამიზნე მოსახლეობის გეოგრაფიული განაწილების და სახესხვაობის დადგენა; თავშეყრის ადგილების ჩამონათვალის გაკეთება, რომლებიც აკმაყოფილებს კვლევის კრიტერიუმებს (შერჩევის ჩარჩოში შესაძლოა მოხვდეს ნებისმიერი სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულება/ადგილი, სადაც სამიზნე ჯგუფები იკრიბებიან, გარდა იმ ადგილებისა, სადაც კონკრეტულად აივ-ინფიცირებულები იყრიან თავს, რათა არ მოხდეს კვლევის საბოლოო შერჩევაში ასეთი ინდივიდების ხელოვნურად ჭარბი წარმოდგენა)
- **თავშეყრის ადგილების რანდომული შერჩევა** გენერალური ერთობლიობიდან
- **კვირის დღეების და დროის ინტერვალის შერჩევა**
- **ანალიზი:** შერჩევის ამ მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, როგორც ძირეული კომპონენტი აივ ინფექცია/შიდსის მეორე თაობის ზედამხედველობისთვის

შეზღუდვები

- მიუხედავად იმისა, რომ კარტირების დროს აღირიცხება აბსოლუტური ან დიდი უმრავლესობა იმ ადგილებისა, სადაც, ასევე, დიდი უმრავლესობა სამიზნე პოპულაციისა შეიძლება იყოს ნანახი დროის შემოსაზღვრულ მონაკვეთში, შერჩევა ადგილისა და დროის მიხედვით ხასიათდება გარკვეული ნაკლით. რამდენადაც **თავშეყრის ადგილები პერიოდულად იცვლება** (ემატება ახალი ადგილები, უქმდება არსებული ადგილები), ამ მეთოდით ჩატარებული კვლევის ყოველი რაუნდის წინ საჭიროა შერჩევის ჩარჩოს ფორმირების პროცესის ხელახალი გამეორება. კვლევის წინმსწრები რაუნდის დროს შექმნილი ჩარჩო, რა თქმა უნდა, ამცირებს ამ პროცედურისთვის საჭირო დანახარჯებს, თუმცა მაინც მოითხოვს დამატებით რესურსებს.
- სამიზნე პოპულაციის **ის ნაწილი, რომელიც არ სტუმრობს თავშეყრის ადგილებს თუნდაც გარკვეული პერიოდულობით**, წარმოადგენს უფრო სერიოზულ პრობლემას. აღნიშნულ პრობლემას არ ხსნის სრულყოფილი შერჩევის ჩარჩოს ფორმირება და იმ შემთხვევაში თუ ასეთი ადამიანების რაოდენობა დიდია, შერჩევა ადგილისა და დროის მიხედვით გარდაუვალი ცდომილებით იმ დაშვებით რომ, ასეთი ადამიანების

ქცევა და აივ-სტატუსი შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს საკვლევი პოპულაციის დანარჩენი ნაწილის ქცევითი მახასიათებლებისგან და აივ-სტატუსისგან.

- ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა **გამოპასუხების კოეფიციენტი**. ხშირ შემთხვევაში ჰომოსექსუალური ურთიერთობების მქონე მამაკაცების გარკვეულ ნაწილს, რომლებიც იკრიბებიან ბარებში, არ სურთ შეიტყონ საკუთარი აივ-სტატუსის შესახებ. ასევე, ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებიც მიდიან კონკრეტულ ადგილებში ნარკოტიკის შესაძენად - ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად დატოვონ ადგილი, რომ არ მოექცნენ ადგილობრივი სამართალდამცავების ყურადღების ცენტრში. კომერციული სექს-მუშაკების შემთხვევაში კი, ამ მხრივ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ისინი ხშირად უარს ამბობენ კვლევაში მონაწილეობაზე მხოლოდ იმის გამო, რომ არ დაკარგონ კლიენტი.

შერჩევის ზომის დადგენა

შერჩევის ზომის დასადგენად რეკომენდებულია შემდეგი ფორმულის გამოყენება:

$$n = D \frac{[Z_{1-\alpha} \sqrt{2P(1-P)} + Z_{1-\beta} \sqrt{P_1(1-P_1) + P_2(1-P_2)}]^2}{(P_1 + P_2)^2}$$

სადაც:

D = დიზაინის ეფექტს;

P1 = სავარაუდო ბაზისურ პროპორციას;

P2 = სავარაუდო მოსალოდნელ პროპორციას, ხოლო (P2 - P1) უდრის იმ ცვლილებათა სიდიდეს, რომელიც სასურველია დადგინდეს კვლევის შედეგად;

P = (P1 + P2) / 2;

$Z_{1-\alpha}$ = Z ქულათა რაოდენობას, რაც შეესაბამება სასურველ სარწმუნოების დონეს (level of significance) (მაგ 95% ან 90%), იგი მიუთითებს, რომ (P2 - P1) ცვლილება არის სტატისტიკურად სანდო და არა შემთხვევითობის შედეგი. კვლევის მიზნებისათვის გამოყენებულია ორმხრივი ტესტი, რაც საშუალებას მოგვცემს გავზომოთ ცვლილება ორივე მიმართულებით, როგორც კლებისკენ, ასევე ზრდისკენ.

$Z_{1-\beta}$ = Z ქულათა რაოდენობას, რომელიც შეესაბამება სასურველ სიძლიერის დონეს (level of power), რომელიც კვლევებისთვის ჩვეულებრივ გამოიყენება 80% ან 90%. იგი მიუთითებს რომ თუ ადგილი აქვს (P2 - P1)-ის სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებას, მისი დაფიქსირება შესაძლებელი იქნება შესაბამისი (80% ან 90%) ალბათობით.

კვლევის ინსტრუმენტები

I. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები (ინმ)

კვლევის კითხვარი

კითხვარის საიდენტიფიკაციო ნომერი _____

კითხვარი კოდირებულია

კითხვარი შეყვანილია

საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების ინექციური გზით მომხმარებლების ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ბიომარკერული კომპონენტით
ქალაქი _____
წელი _____

პარტნიორი ორგანიზაცია _____

შესავალი: ჩემი სახელია..... კვლევა ტარდება _____

(ორგანიზაციის დასახელება) მიერ „_____“

_____ პროექტის ფარგლებში.

ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა ბოლო ხუთი კვირის განმავლობაში მსგავს კვლევაში?

ინტერვიუერს: რესპონდენტისაგან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, უთხარით მას, რომ კვლევაში ხელმეორედ მონაწილეობა არ შეიძლება, მაღლობა გადაუხადეთ მას და ამით დაასრულოთ ინტერვიუ. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში განაგრძეთ.

კონფიდენციალობა და თანხმობა: "მე ვაპირებ დაგისვამ რამდენიმე შეკითხვა. თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა გარანტირებული იქნება. კვლევა ანონიმურია – თქვენი სახელი და გვარი არსად არ ფიქსირდება. ზოგიერთს უჭირს ცალკეულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. თქვენ არა ხართ ვალდებული მიპასუხოთ იმ შეკითხვებზე, რომელზეც პასუხის გაცემა არ გსურთ. თქვენ შეგიძლიათ დაასრულოთ ინტერვიუ ნებისმიერ დროს, როცა კი ისურვებთ. თუმცა, თქვენი გულახდილი პასუხები ამ შეკითხვებზე საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ, თუ რას ფიქრობენ ადამიანები გარკვეულ საკითხებზე ან როგორ იქცევიან გარკვეულ სიტუაციებში. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრებები, რისთვისაც წინასწარ გიხდით მაღლობას დახმარებისათვის."

ინტერვიუერის კოდი _____

(ინტერვიუერის ხელმოწერა, რომელიც ადასტურებს რესპონდენტის სიტყვიერ თანხმობას)

I რესპონდენტი	
თარიღი	
ინტერვიუერი	
შედეგი	

შედეგების კოდები: 1. დასრულებული; 2. ნაწილობრივ დასრულებული; 3. უარი; 4. სხვა (მიუთითეთ) _____

ინტერვიუს თარიღი და დაწყების დრო : /___/ თარიღი /___/საათი /___/ წუთი

ხელმოწერა _____ თარიღი _____

ზოგადი ინსტრუქცია ინტერვიუერს: ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში თუ არ არის მითითება "არ წაუკითხოთ" ყველა მოცემული დახურვა წაუკითხეთ

Q1. ქალაქი: _____

Q2. რესპონდენტი ID #:

Q3. ჩაიწერეთ, როგორ მოახდინეთ კონტაქტი

1. (პარტნიორი) ორგანიზაციის პაციენტი/კლიენტი
2. მოსულია/მოყვანილია „თოვლის გუნდის“ პრინციპით
3. სხვა (ჩაწერეთ) _____

Q4. ინტერვიუს ადგილი: _____

Q5. რამდენჯერ მიგიღიათ მსგავს კვლევაში მონაწილეობა?

_____ ჯერ	1	გააგრძელებ
არც ერთხელ	2	გადადით A1 -ზე
უარი პასუხზე	99	

Q6. გაიგეთ თუ არა აიგ-ზე ტესტირების შედეგი?

დიახ	1	გადადით A1 -ზე
არა	2	გააგრძელებ
უარი პასუხზე	99	

Q7. რატომ არ გაიგეთ?

1. დამავიწყდა
2. არ მაინტერესებდა პასუხი
3. მეშინოდა დადებითი პასუხის
4. ვერ მოვახერხე მისვლა
5. ჩემი აზრით, საერთოდ არ მჭირდებოდა ტესტირება (ჯანმრთელი ვიყავი – სიმპტომები არ მქონდა
6. სხვა (გთხოვთ დააზუსტოთ) _____
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

A. რესპონდენტის დემოგრაფიული მონაცემები

A1. ამჟამად სად ცხოვრობთ?

1. ქალაქი (ჩაწერეთ) _____
 - 1.1 ქალაქის უბანი (ჩაწერეთ) _____
 - 1.2. სოფელი (ჩაწერეთ) _____
99. უარი პასუხზე

A2. რამდენი ხანია, რაც ამ ქალაქში ცხოვრობთ? (შესაძლებელია მხოლოდ წლის ჩაწერა. მაგ.: 2 წელი და 6 თვე მიუთითეთ როგორც - 2.5 წელი)

1. _____ წელი
2. ყოველთვის (*დაზადებიდან*)
99. უარი პასუხზე

A3. ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული ან დევნილი პირი ხომ არ ხართ?

1. დიახ
2. არა
99. უარი პასუხზე

A4. ბოლო 12 თვის (1 წლის) განმავლობაში გახვედით თუ არა ქალაქიდან ან დატოვეთ თუ არა თქვენი საცხოვრებელი ბინა ერთ თვეზე მეტი ხნით?

1. დიახ
2. არა
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

A5. რამდენი წლის ხართ?

/____/____/ წლის

A6. სქესი

1. მამრობითი
2. მდედრობითი

A7. თქვენი განათლება?

1. არ უვლია სკოლაში
2. დაწყებითი (1-4 კლასი)
3. საშუალო (სკოლა, ტექნიკუმი, პროფ. სასწავლებელი)
4. არასრული უმაღლესი განათლება
5. უმაღლესი განათლება
99. უარი პასუხზე

A8. დასაქმება

1. მოსწავლე/სტუდენტი
2. მაქვს მუდმივი სამუშაო
3. მაქვს დროებითი სამუშაო
4. პენსიონერი/ინვალიდი
5. უმუშევარი
99. უარი პასუხზე

A9. რა ეროვნების ხართ?

1. ქართველი
2. სხვა (*ჩაწერეთ*) _____
99. უარი პასუხზე

A10. როგორია თქვენი ოჯახური მდგომარეობა?

1. დაოჯახებული
2. განქორწინებული/ მეუღლისგან განცალკევებით მცხოვრები
3. ქვრივი
4. არასოდეს ყოფილა დაქორწინებული
5. სხვა (*ჩაწერეთ*) _____

A11. ვისთან ერთად ცხოვრობთ ახლა? (არ წაუკითხოთ, შეუსაბამეთ პასუხი დახურვას)

1. მეუღლესთან
 2. პარტნიორთან
 3. ვცხოვრობ მარტო
 4. ვცხოვრობ მშობლებთან/ნათესავებთან
 5. სხვა *(ჩაწერეთ)* _____
99. უარი პასუხზე

A12. სასჯელი ნარკოტიკის მოხმარების გამო: *(კითხვებზე პასუხი ცხრილის შესაბამის გრაფაში აღნიშნეთ, თუ დადებითი პასუხია ჰკითხეთ რამდენჯერ და ჩაწერეთ)*

	დაახ	რამდენჯერ	არა	უარი პასუხზე
1. ბოლო 12 თვის განმავლობაში, მიგიღიათ თუ არა ადმინისტრაციული სასჯელი (ჯარიმა) ნარკოტიკების მოხმარების გამო?	1		2	99
2. ბოლო 12 თვის განმავლობაში, ყოფილხართ თუ არა წინასწარი დაკავების საკანში ნარკოტიკების მოხმარების გამო?	1		2	99
3. ბოლო 12 თვის განმავლობაში, მჯდარხართ თუ არა საპატიმროში ნარკოტიკების მოხმარების გამო?	1		2	99

A13. ბოლო ერთი თვის განმავლობაში რამდენად ხშირად მიგიღიათ ალკოჰოლური სასმელი, როგორცაა ლუდი, ღვინო, არაყი და სხვ.

1. ყოველდღე
 2. კვირაში რამდენჯერმე
 3. კვირაში ერთხელ
 4. უფრო იშვიათად
 5. არც ერთხელ *(არ წაუკითხეთ)*
 6. სხვა *(ჩაწერეთ)* _____
99. უარი პასუხზე

B. ნარკოტიკის მოხმარების ისტორია

B1. რამდენი წლის იყავით, როცა პირველად მიიღეთ ნარკოტიკი? მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ არასამკურნალო მიზნით ნებისმიერი სახის ნარკოტიკის გამოყენება, მათ შორის დასალევი, მოსაწევი ან/და ნემსით გასაკეთებელი.

_____ *(მიუთითეთ ზუსტი ასაკი წლებში)*

B2. რამდენი წლის იყავით, როცა პირველად გაიკეთეთ ნარკოტიკი ნემსით?

_____ *(მიუთითეთ ზუსტი ასაკი წლებში)*

B3. რამდენი ხნის წინ მიხვდით, რომ დამოკიდებული ხართ ინექციურ ნარკოტიკზე ანუ „შეჯექით წამალზე“? (შესაძლებელია მხოლოდ წლის ჩაწერა, მაგ.:2 წელი და 6 თვე მიუთითეთ როგორც 2.5 წელი)

1. _____ წელი
 2. არ ვთვლი, რომ ვარ დამოკიდებული ("შემჯდარი")
99. უარი პასუხზე

B4. თუ მხოლოდ ბოლო 6 თვეს გავითვალისწინებთ, ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე ნარკოტიკების მოხმარებლებთან ერთად იკეთებთ ხოლმე?

დაახ	1	<i>გააგრძელებ</i>
არა, მარტო ვიკეთებ	2	<i>გადადით B5 –ზე</i>

არა, სხვადასხვა მომხმარებლებთან ერთად ვიკეთებ	3	
არ ვიცი	88	
უარი პასუხზე	99	

B4.1 ნარკოტიკების რამდენი მომხმარებელია თქვენს რეგულარულ ჯგუფში?
 _____ (მიუთითეთ ზუსტი რიცხვი)

B5. თუ გაიხსენებთ ბოლო ერთი თვის პერიოდს, რომელი ნარკოტიკები მოიხმარეთ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ან რომელი გაიკეთეთ ინექციის სახით? (არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ დახურვა პასუხს. შესაძლებელია რამდენიმე პასუხი. გადაეკითხეთ) კიდეც რომელი? კიდეც?

	მომხმარებელია ბოლო თვეში		გაკეთებულია ბოლო თვეში	
	დიახ	არა	დიახ	არა
1. ცნს დეპრესანტები				
1.1 ბარბიტურატები (_____)	1	2	1	2
1.2 ტრანკვილიზატორები (_____)	1	2	1	2
1.3 ინჰალანტები	1	2	1	2
1.4 ანტიჰისტამინური (_____)	1	2	1	2
1.5 სხვა დეპრესანტები (_____)	1	2	1	2
2. ნარკოტიკული ანალგეტიკები				
2.1 კოდეინი	1	2	1	2
2.2 ჰეროინი	1	2	1	2
2.3 ოპიუმი	1	2	1	2
2.4 ყაყაჩოს ნამჯა (კონკარი)	1	2	1	2
2.5 მეთადონი	1	2	1	2
2.6 ბუპრენორფინი (სუბუტექსი, სუბოქსონი)	1	2	1	2
2.7 მორფი	1	2	1	2
2.8 ტრამადოლი	1	2	1	2
2.9 სხვა ოპიატები (_____)	1	2	1	2
3. ცნს სტიმულატორები				
3.1 კოკაინი	1	2	1	2
3.2 ამფეტამინი	1	2	1	2
3.3 კოფეინი	1	2	1	2
3.4 ექსტაზი	1	2	1	2
3.5 ეფედრონი ("ვინტი")	1	2	1	2
3.6 მეთკათინონი ("ჯეფი")				
3.7 სხვა სტიმულატორები (_____)	1	2	1	2
4. ჰალუცინოგენები				
4.1 ლიზერგინის მჟავას დიეთილამიდი (LSD)	1	2	1	2
4.2 კანაფი (მარიხუანა, ჰაშიში, ანაშა)	1	2	1	2
4.3 ციკლოდოლი	1	2	1	2
4.4 სხვა ჰალუცინოგენები (_____)	1	2	1	2
5. კომბინაცია (ჩაწერეთ) _____	1	2	1	2
6. სხვა (ჩაწერეთ) _____	1	2	1	2
არ ვიცი/არ მახსოვს	88		88	
უარი პასუხზე	99		99	

B6. ბოლოს როდის გაიკეთეთ ნარკოტიკი?

1. _____ დღის წინ (თუ პასუხი არის „დღეს“, იწერება 0)
88. არ მახსოვს
99. უარი პასუხზე (გადადით B8-ზე)

B7. რამდენჯერ გაიკეთეთ იმ დღეს?

1. _____ ჯერ
88. არ მახსოვს
99. უარი პასუხზე

B8. რა ნარკოტიკი გაიკეთეთ ბოლოს?

-
88. არ მახსოვს
99. უარი პასუხზე

B9. (თუ ბოლო გაკეთება არ იყო დღეს ან გუშინ) ხომ არ მეტყვი, რატომ არ გაიკეთეთ დღეს/გუშინ? შესაძლოა თქვენ რამდენიმე მიზეზი გქონდათ; თუ ეს ასეა, გთხოვთ, დამისახელოთ ყველა. (პასუხის შემდეგ გადაეკითხეთ) ჩემს მიერ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, სხვა რა მიზეზი იყო? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. ფული არ მქონდა
 2. არ მქონდა სურვილი
 3. წამალი არ გამოჩნდა/ვერ ვიშოვე
 4. ვმკურნალობ
 5. სხვა (ჩაწერეთ) _____
99. უარი პასუხზე (არ წაუკითხოთ)

B10. ბოლო ერთი თვის მანძილზე რა სიხშირით იკეთებდით ნარკოტიკს?

1. თვეში ერთხელ
 2. თვეში რამდენჯერმე
 3. კვირაში ერთხელ
 4. კვირაში 2-3 ჯერ
 5. კვირაში 4-6-ჯერ
 6. დღეში ერთხელ
 7. დღეში რამდენჯერმე
 8. არ გამოიკეთებია (არ წაუკითხოთ. ჩაკეთებთ და თუ ბოლო ინექცია 1 თვეზე ადრე იყო მაღლობა გადაუხადეთ და დაასრულეთ ინტერვიუ)
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C. ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სარისკო ქცევა

C1.1 ოდესმე თუ გამოგიყენებიათ სხვის მიერ ნახმარი ნემსი/შპრიცი/“პეპელა“?

1. დიახ
 2. არა
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C1.2 ოდესმე თუ გამოგიყენებიათ თქვენს მიერვე ადრე გამოყენებული ნემსი/შპრიცი/“პეპელა“?

1. დიახ

- 2. არა
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

C2.1 გაიხსენეთ, როდესაც ბოლოს გაიკეთეთ ნარკოტიკი, გაიკეთეთ თუ არა სხვის მიერ გამოყენებული ნემსით/შპრიცით/“პეპელა“?

- 1. დიახ
- 2. არა
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

C2.2 გაიხსენეთ, როდესაც ბოლოს გაიკეთეთ ნარკოტიკი, გაიკეთეთ თუ არა თქვენს მიერვე ადრე გამოყენებული ნემსით ან შპრიცით/“პეპელა“?

- 1. დიახ
- 2. არა
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

(ინტერვიუერს: თუ C2.1 და C2.2 არის "არა", გადადით C2.4-ზე)

C2.3 ბოლოს, როდესაც გაიკეთეთ, გამოიყენეთ თუ არა ნახმარი ნემსი/შპრიცი/“პეპელა“, რომელიც დატოვებული იყო თავშეყრის ადგილას (სახარშავში, ბათში ან სხვა ადგილას) სხვის ან თქვენს მიერ?

- 1. დიახ
- 2. არა
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

C2.4 მაშინ, თუ ბევრნი იყავით, თქვენი აზრით, რამდენმა ადამიანმა გამოიყენა საზიარო ნემსი/შპრიცი/“პეპელა“?

- 1. _____ (მიუთითეთ რაოდენობა)
- 2. მარტო ვიყავი
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

C3.1 ბოლოს წინა გაკეთებისას, გამოიყენეთ თუ არა სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი/“პეპელა“?

- 1. დიახ
- 2. არა
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

C3.2 ბოლოს წინა გაკეთებისას, გამოიყენეთ თუ არა თქვენს მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი/“პეპელა“?

- 1. დიახ
- 2. არა
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

(ინტერვიუერს: თუ C3.1 და C3.2 არის "არა", გადადით C3.4-ზე)

C3.3 მაშინ გამოიყენეთ თუ არა ნახმარი ნემსი/შპრიცი/“პეპელა“, რომელიც დატოვებული იყო თავშეყრის ადგილას (სახარშავში, ბათოში ან სხვა ადგილას) სხვის ან თქვენს მიერ?

1. დიახ
 2. არა
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C3.4 თუ მაშინ რამდენიმე იყავით, თქვენი აზრით, რამდენმა ადამიანმა გამოიყენა საზიარო ნემსი/შპრიცი/“პეპელა“?

1. _____ (მიუთითეთ რაოდენობა)
 2. მარტო ვიყავი
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C4. გაიხსენეთ ის შემთხვევები, როცა ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაიკეთეთ ნარკოტიკი. რამდენად ხშირად ხდებოდა ეს იმავე ნემსით/შპრიცით/“პეპელათი“, რომელიც სხვებმა გამოიყენეს?

1. ყოველთვის
 2. თითქმის ყოველთვის
 3. ხანდახან
 4. ერთხელ
 5. არასოდეს
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C5. გაიხსენეთ ის შემთხვევები, როცა ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაიკეთეთ ნარკოტიკი. რამდენად ხშირად ხდებოდა ეს თქვენს მიერვე ადრე გამოყენებული ნემსით/შპრიცით/“პეპელათი“?

1. ყოველთვის
 2. თითქმის ყოველთვის
 3. ხანდახან
 4. ერთხელ
 5. არასოდეს
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

(ინტერვიუერს: თუ C4 და C5 არის პასუხები "არასოდეს" - გადადით C9)

C6. თუ ბოლო ერთ თვეში გამოიყენეთ თქვენს მიერ ადრე გამოყენებული ან სხვის მიერ ნახმარი ნემსი/შპრიცი/“პეპელა“ რამდენჯერ გაასუფთავეთ ისინი ხმარების წინ?

ყოველთვის	1	<i>გააგრძელეთ</i>
თითქმის ყოველთვის	2	
ხანდახან	3	
ერთხელ	4	
არასოდეს	5	<i>გადადით C7-ზე</i>
არ ვიცი	88	
უარი პასუხზე	99	

C6.1 თუ გაასუფთავეთ, ჩვეულებრივ, ამას როგორ აკეთებდით? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

	დიახ	არა	არ ვიცი	უარი
--	------	-----	---------	------

				პასუხზე
1. წყლით (ადუღებული, ცხელი, ცივი)	1	2	88	99
2. ქლორით	1	2	88	99
3. გამობარშეთ	1	2	88	99
4. სხვა მეთოდით (ჩაწერეთ) _____	1	2	88	99

C7. ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ერთხელ მაინც თუ გამოიყენეთ საზიარო ნემსი/შპრიცი/“პეპელა“ ჩემს მიერ ჩამოთვლილ პირებთან? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

	დიახ	არა	არ ვიცი	უარი პასუხზე
1. თქვენი ჩვეული სქესობრივი პარტნიორი	1	2	88	99
2. სქესობრივი პარტნიორი, რომელსაც არ იცნობდით	1	2	88	99
3. ნარკომომხმარებლების ჯგუფიდან რომელიმე	1	2	88	99
4. ნარკოტიკის გამსაღებელი („ბარიგა“, დილერი)	1	2	88	99
5. უცნობი პირი	1	2	88	99
6. მეგობარი	1	2	88	99
7. სხვა (ჩაწერეთ) _____	1	2	88	99

C8. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ნარკოტიკების მომხმარებელ რამდენ პირთან გამოგიყენებიათ საზიარო ნემსი/შპრიცი/“პეპელა“? დათვალეთ ყველა, ვისთან ერთადაც ზიარი ნემსი/შპრიცი/“პეპელა“ გამოიყენეთ.

1. _____ (პარტნიორთა რიცხვი)

88. არ ვიცი

99. უარი პასუხზე

C9. ბოლო ერთი თვის განმავლობაში, რამდენჯერ მიეცით ვინმეს გამოსაყენებლად თქვენს მიერ ნახმარი ნემსი/შპრიცი/“პეპელა“ ?

ყოველთვის	1	<i>გააგრძელეთ</i>
თითქმის ყოველთვის	2	
ხანდახან	3	
ერთხელ	4	
არასოდეს	5	<i>გადადით C11-ზე</i>
არ ვიცი	88	
უარი პასუხზე	99	

C10. როდესაც გადაეცით თქვენი ნახმარი ნემსი/შპრიცი/“პეპელა“ სხვას გამოსაყენებლად, თუ გაასუფთავებთ ისინი თქვენ ან მან, ვისაც გადაეცით?

ყოველთვის	1	<i>გააგრძელეთ</i>
თითქმის ყოველთვის	2	
ხანდახან	3	
ერთხელ	4	
არასოდეს	5	<i>გადადით C11-ზე</i>
არ ვიცი	88	
უარი პასუხზე	99	

C10.1 თუ გაასუფთავებთ, თქვენ ან მან, ვისაც გადაეცით, ჩვეულებრივ ამას როგორ აკეთებდით? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

	დიახ	არა	არ ვიცი	უარი პასუხზე
--	------	-----	---------	--------------

1. წყლით (ადუღებული, ცხელი, ცივი)	1	2	88	99
2. ქლორით	1	2	88	99
3. გამობარშეთ	1	2	88	99
4. სხვა მეთოდით (<i>ჩაწერეთ</i>) _____	1	2	88	99

C11. ბოლოს, როდესაც გადავადეთ გამოყენებული ნემსი/შპრიცი/“პეპელა“, როგორ გააკეთეთ ეს? (არ წაუკითხოთ. პასუხები შეუსაბამეთ დახურვებს. თუ უარი პასუხზე ჩამონათვალში, ჩაიწერეთ სიტყვა-სიტყვით)

1. გადავადე ნაგავში ნემსის თავსახურის გარეშე
2. ნემსი გადავლუნე/გადავტეხე და გადავადე ნაგავში
3. ნაგავში გადავადე ნემსის თავსახურით
4. ჩავდე ბოთლში/ქილაში/სახარშავში და დავტოვე
5. დავადე მიწაზე
6. დავწვი ღუმელში
7. სხვა (*ჩაწერეთ*) _____
99. უარი პასუხზე

C12. ბოლო ერთი თვის განმავლობაში რა სიხშირით იყენებდით ახალ, სტერილურ ნემსს/შპრიცს/“პეპელას“? (შეადარეთ C4-ის პასუხებს.)

1. ყოველთვის
2. თითქმის ყოველთვის
3. ხანდახან
4. არასოდეს
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C13. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ იშოვოთ ახალი, სტერილური შპრიცები და ნემსები?

დიახ	1	<i>გააგრძელეთ</i>
არა	2	
არ ვიცი	88	<i>გადადით C15-ზე</i>
უარი პასუხზე	99	

C14. სად ყიდულობთ/შოულობთ ახალ, სტერილურ ნემსს/შპრიცს? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

	დიახ	არა
1. აფთიაქი	1	2
2. სხვა მაღაზია	1	2
3. საავადმყოფო	1	2
4. ოჯახი/ ნათესავები	1	2
5. სქესობრივი პარტნიორი	1	2
6. მეგობრები	1	2
7. ნარკოტიკის მომხმარებელი	1	2
8. ნარკოტიკის გამსაღებელი (“ზარიგა”, დილერი)	1	2
9. შპრიცების გაცვლის პროგრამა	1	2
10. სხვა (<i>ჩაწერეთ</i>) _____	1	2

C15. ბოლო ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერ ისარგებლეთ წინასწარ შევსებული შპრიცით? იგულისხმება შპრიცი, რომელიც თქვენი თანდასწრების გარეშე შეივსო ნარკოტიკით.

1. ყოველთვის

2. თითქმის ყოველთვის
3. ხანდახან
4. ერთხელ
5. არასოდეს
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C16. ბოლო თვის განმავლობაში, რამდენჯერ გაიკეთეთ ნარკოტიკი მას შემდეგ, რაც ის შეივსო წამლის ხსნარით სხვისი ნახმარი შპრიციდან (მიუხედავად იმისა, თავიდან შეივსო, თუ ბოლოდან)? (ინტერვიუერს: აუხსენით რესპონდენტს “თავიდან და ბოლოდან” შევსების ტექნიკა. დარწმუნდით, რომ რესპონდენტმა სწორად გაიგო ამოცანა)

1. ყოველთვის
2. თითქმის ყოველთვის
3. ხანდახან
4. ერთხელ
5. არასოდეს
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C17. ბოლო თვის განმავლობაში, როდესაც გაიკეთეთ ნარკოტიკი, რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ გაიკეთეთ სხვის მიერ შპრიცში დატოვებული წამალი (ნაწილი თვითონ გაიკეთა და შპრიცი დარჩენილი წამლით თქვენ დაგიტოვათ)?

1. ყოველთვის
2. თითქმის ყოველთვის
3. ხანდახან
4. ერთხელ
5. არასოდეს
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C18. ბოლო თვის განმავლობაში, როდესაც გაიკეთეთ ნარკოტიკი, რამდენად ხშირად გამოიყენეთ საერთო ბოთლი, კოფი, მოსახარში ჭურჭელი/შუშა/კოლბა, ბამბა/ფილტრი ან წყალი, რომელშიც შესაძლოა მოხვედრილიყო სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი?

1. ყოველთვის
2. თითქმის ყოველთვის
3. ხანდახან
4. ერთხელ
5. არასოდეს
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

C19. ბოლო თვის განმავლობაში, რამდენად ხშირად იყენებდით კონტეინერიდან ნარკოტიკის ხსნარს, რომელიც თქვენი თანდასწრების გარეშე მომზადდა?

1. ყოველთვის
2. თითქმის ყოველთვის
3. ხანდახან
4. ერთხელ
5. არასოდეს
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

(ინტერვიუერს: C15- C19 კითხვების დახურვები მუსაბამით C20-ის პასუხები)

C20. გთხოვთ გაიხსენოთ ნარკოტიკის გაკეთების ბოლო შემთხვევა და მითხრათ:

	დიახ	არა	არ ვიცი	უარი პასუხზე
1. ისარგებლეთ თუ არა წინასწარ შევსებული შპრიცით? იგულისხმება შპრიცი, რომელიც თქვენი თანდასწრების გარეშე შეივსო ნარკოტიკით.	1	2	88	99
2. გაიკეთეთ ნარკოტიკი მას შემდეგ, რაც ის შეივსო წამლის ხსნარით სხვისი ნახმარი შპრიციდან (მიუხედავად იმისა, თავიდან შეივსო, თუ ბოლოდან)?	1	2	88	99
3. გაიკეთეთ თუ არა სხვის მიერ შპრიცში დატოვებული წამალი (ნაწილი თვითონ გაიკეთა და შპრიცი დარჩენილი წამლით თქვენ დაგიტოვათ)?	1	2	88	99
4. გამოიყენეთ თუ არა საზიარო ბოთლი, კოვზი, მოსახარში ჭურჭელი/შუშა/კოლბა, ბამბა/ფილტრი, წყალი, რომელიც შესაძლოა მოხვედრილიყო სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი?	1	2	88	99
5. გამოიყენეთ თუ არა კონტეინერიდან ნარკოტიკის ხსნარი, რომელიც თქვენი თანდასწრების გარეშე მომზადდა?	1	2	88	99

C21. ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაგიკეთებიათ თუ არა ნარკოტიკი სხვა ქვეყანაში/ქალაქში?

	დიახ	არა	არ ვიცი	უარი პასუხზე
1. საქართველოს სხვა ქალაქში	1	2	88	99
2. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში	1	2	88	99
3. სხვა ქვეყნებში	1	2	88	99

(ინტერვიუერს: თუ C21-ის ქვეკითხვებში ყველა პასუხი არის "არა" - გადადით C22-ზე)

C20.1 როდესაც გაიკეთეთ ნარკოტიკი სხვა ქალაქში (საზღვარგარეთის ჩათვლით), გიხმარიათ თუ არა როდესმე სხვის მიერ გამოყენებული ნემსი/შპრიცი/“პეპელა“?

- 1. დიახ
- 2. არა
- 88. არ მახსოვს
- 99. უარი პასუხზე

C22. გქონიათ თუ არა ზედოზირების შემთხვევა ბოლო ერთი წლის განმავლობაში?

დიახ	1	<i>გააგრძელეთ გადადით C23-ზე</i>
არა	2	
არ მახსოვს	88	
უარი პასუხზე	99	

C22.1 რა სახის დახმარება მიიღეთ? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

- 1. გადაუდებელი სასწრაფო დახმარება შემთხვევის ადგილზე
- 2. სტაციონარული მკურნალობა
- 3. სხვა (მიუთითეთ) _____

C23. ბოლო 12 თვის განმავლობაში, გიცდიათ თუ არა ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტა სამედიცინო დახმარების გარეშე („ლომკის სუბოიზე გადაგდება“)?

- 1. დიახ
- 2. არა
- 88. არ ვიცი

99. უარი პასუხზე

C24. ოდესმე თუ გიმკურნალიათ ან მიგიღიათ სპეციფიკური დახმარება იმის გამო, რომ თქვენ ნარკოტიკს მოიხმართ?

დიახ	1	<i>გააგრძელეთ</i>
არა	2	<i>გადადით D1-ზე</i>
არ ვიცი	88	<i>გააგრძელეთ</i>
უარი პასუხზე	99	

C25. ბოლო 12 თვის განმავლობაში თუ მიგიმართავთ სამედიცინო დაწესებულებაში, სპეციალიზირებულ ცენტრში რომ ჩაგეტარებინათ მკურნალობა ან მიგელოთ სპეციფიკური დახმარება ნარკოტიკის მოხმარების გამო?

დიახ	1	<i>გააგრძელეთ</i>
არა	2	<i>გადადით C30-ზე</i>
არ ვიცი	88	<i>გააგრძელეთ</i>
უარი პასუხზე	99	

C26. ბოლო 12 თვის განმავლობაში თუ გიმკურნალიათ ან მიგიღიათ სპეციფიკური დახმარება ნარკოტიკის მოხმარების გამო?

ამჟამად ვმკურნალობ <i>(შეუსაბამეთ B9-ს)</i>	1	<i>გააგრძელეთ</i>
ვიმკურნალე ბოლო 12 თვის განმავლობაში, მაგრამ ახლა არ ვმკურნალობ	2	
არა	3	<i>გადადით C30-ზე</i>
უარი პასუხზე	99	

C27. რა სახის მკურნალობა ან სპეციფიკური დახმარება მიგიღიათ ბოლო 12 თვის განმავლობაში? (არ წაუკითხოთ, დააზუსტეთ კითხვით “არის თუ არა სხვა ტიპის მკურნალობა/დახმარება, რომელიც თქვენ მიგიღიათ”. შესაძლოა რამდენიმე პასუხი)

	დიახ	არა
1. კონსულტირება	1	2
2. თვითდახმარების ჯგუფები	1	2
3. დეტოქსიკაცია მეთადონით	1	2
4. მეთადონით ჩანაცვლება	1	2
5. დეტოქსიკაცია სხვა ნარკოტიკით	1	2
6. დეტოქსიკაცია ნარკოტიკის გარეშე	1	2
7. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	1	2
8. სხვა <i>(ჩაწერეთ)</i> _____	1	2
არ ვიცი	88	
უარი პასუხზე	99	

C28. რომელ ქალაქში/ქვეყანაში გაიარეთ მკურნალობა? (შესაძლოა რამდენიმე პასუხი)

1. თბილისი
 2. ბათუმი
 3. საქართველოს სხვა ქალაქი *(ჩაწერეთ)* _____
 4. უცხოეთი
99. უარი პასუხზე

C29. ბოლო 12 თვის მანძილზე გინდოდათ თუ არა მიგელოთ სხვა მკურნალობა ან სპეციფიკური დახმარება, მაგრამ ვერ მიიღეთ? (აღნიშნეთ “დიახ” იმ შემთხვევაში თუ ასეთი დახმარება ვერ/არ მიიღო)

დიახ (მინდოდა, მაგრამ მკურნალობა / დახმარება არ/ვერ მივიღე)	1	<i>გააგრძელეთ</i>
არა	2	<i>გადადით D1-ზე</i>
არ ვიცი	88	
უარი პასუხზე	99	

C30. რატომ ვერ ან არ ჩაიტარეთ მკურნალობა ან სპეციფიკური დახმარება ბოლო 12 თვის განმავლობაში? (არ წაუკითხოთ, შესაძლოა ერთზე მეტი პასუხი, პასუხები მიუსადაგეთ არსებულ დახურვებს)

1. სურვილი არ მქონდა
2. ძალიან ძვირია/ არ მაქვს საკმარისი თანხა
3. ადგილმდებარეობის გამო
4. მივმართე, მაგრამ ადგილები არასაკმარისი იყო
5. მივმართე, მაგრამ პირობები (ფინანსურის გარდა) არაადაკმაყოფილებელი იყო
6. ვერ დავადგინე კარგი სპეციალისტი/ექიმი
7. სხვა (*ჩაწერეთ*) _____
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

D. სქესობრივი ცხოვრების ისტორია (მამაკაცებისათვის)

D1. რამდენი წლის იყავით, როდესაც პირველად გქონდათ სქესობრივი კავშირი?

- 1. _____ წლის *(მიუთითეთ ზუსტი ასაკი)*
- 2. ჯერ არ მქონია სქესობრივი კონტაქტი *(გადადით G ბლოკზე)*
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

D2. გქონიათ, თუ არა სექსი ქალ პარტნიორთან ბოლო 12 თვის (1 წლის) განმავლობაში?

დიახ	1	<i>გააგრძელეთ</i>
არა	2	<i>გადადით D4-ზე</i>
უარი პასუხზე	99	

D3. მთლიანობაში, რამდენ ქალ პარტნიორთან გქონიათ სქესობრივი კონტაქტი ბოლო 12 თვის განმავლობაში?

- 1. _____ *(მიუთითეთ რიცხვი)*
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

D3.1 მათ შორის რამდენი იყო “რეგულარული სქესობრივი პარტნიორი”? *(სქესობრივი პარტნიორი, რომელთან სქესობრივი ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება ან გრძელდება ერთ წელზე ნაკლები, მაგრამ არსებობს ურთიერთობის გაგრძელების განზრახვა (მაგ.: მეუღლე ან თანამცხოვრები ან სქესობრივი პარტნიორი)).*

- 1. _____ *(მიუთითეთ რიცხვი)*
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

D3.2 ბოლო 12 თვის მანძილზე რამდენი იყო ფასიანი სქესობრივი პარტნიორი ქალი? *(ანუ ვისთანაც სექსი გქონდათ ფულისა თუ ნარკოტიკის სანაცვლოდ)*

- 1. _____ *(მიუთითეთ რიცხვი)*
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

D3.3 ბოლო 12 თვის მანძილზე რამდენი იყო შემთხვევით სქესობრივი პარტნიორი, პარტნიორი რომელიც არ არის რეგულარული და რომელთანაც სქესობრივი ურთიერთობა გქონიათ მატერიალური ანაზღაურების გარეშე?

- 1. _____ *(მიუთითეთ რიცხვი)*
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

D3.4 რომელი იყო თქვენი ბოლო სქესობრივი პარტნიორი?

- 1. რეგულარული
- 2. ფასიანი
- 3. შემთხვევითი
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

D3.5 გამოიყენეთ თუ არა პრეზერვატივი ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს?

- 1. დიახ
- 2. არა
- 88. არ ვიცი

99. უარი პასუხზე

D4. ჩვენ ვისაუბრეთ თქვენს ქალ სქესობრივ პარტნიორებზე. გყოლიათ თუ არა როდესმე კაცი სქესობრივი პარტნიორი?

დიახ	1	<i>გააგრძელეთ</i>
არა	2	<i>გადადით E1 -ზე</i>
უარი პასუხზე	99	

D4.1 მამრობითი სქესის რამდენი პარტნიორი გყავდათ ბოლო 12 თვის განმავლობაში?

1. _____ (მიუთითეთ რიცხვი)

88. არ ვიცი

99. უარი პასუხზე

E. პარტნიორთა რიცხვი და ტიპი (მამაკაცებისათვის)

შემდეგი შეკითხვები შეეხება თქვენს რეგულარულ სქესობრივ პარტნიორს. სქესობრივი პარტნიორი, რომელთან სქესობრივი ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება ან გრძელდება ერთ წელზე ნაკლები, მაგრამ არსებობს ურთიერთობის გაგრძელების განზრახვა (მაგ.: მეუღლე ან თანამცხოვრები ან სქესობრივი პარტნიორი).

E1. გქონდათ თუ არა სექსი რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში? (შუსაბამეთ D3.1-ის პასუხს)

დიახ	1	<i>გააგრძელეთ</i>
არა	2	<i>გადადით E2 -ზე</i>

E1.1 გაიხსენეთ თქვენი რეგულარული სქესობრივი პარტნიორი, რომელთანაც ყველაზე ხშირად გაქვთ კონტაქტი. რამდენჯერ გქონიათ მასთან სქესობრივი კონტაქტი ბოლო ერთი თვის განმავლობაში?

1. _____ ჯერ

88. არ ვიცი

99. უარი პასუხზე

E1.2 ბოლოს, როდესაც სექსი გქონდათ თქვენს რეგულარულ სქესობრივ პარტნიორთან, გამოიყენეთ თუ არა პრეზერვატივი?

დიახ	1	<i>გააგრძელეთ</i>
არა	2	<i>გადადით E1.4-ზე</i>
არ ვიცი	88	<i>გადადით E1.5-ზე</i>
უარი პასუხზე	99	

E1.3 ვისი (თქვენი, თუ სქესობრივი პარტნიორის) გადაწყვეტილება იყო პრეზერვატივის გამოყენება მაშინ?

1. ჩემი

2. პარტნიორის

3. საერთო

88. არ ვიცი

99. უარი პასუხზე

(გადადით E1.5--ზე)

E1.4 რატომ არ გამოიყენეთ თქვენ, ან თქვენმა სექსობრივმა პარტნიორმა პრეზერვატივი მაშინ? (არ წაუკითხოთ. პასუხები შეუსაბამეთ დახურვებს. შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

	დიახ	არა	არ ვიცი	უარი პასუხზე
1. ხელმისაწვდომი არ იყო /არ მქონდა	1	2	88	99
2. ძალიან ძვირი	1	2	88	99
3. პარტნიორმა თქვა უარი	1	2	88	99
4. არ მომწონს	1	2	88	99
5. პარტნიორი იყენებს სხვა კონტრაცეპტივებს	1	2	88	99
6. არ ვთვლი, რომ საჭირო იყო	1	2	88	99
7. არ მიფიქრია ამაზე	1	2	88	99
8. სხვა (<i>წაწერეთ</i>) _____	1	2	88	99

E1.5 რამდენად ხშირად გამოიყენებიათ პრეზერვატივი თქვენს რეგულარულ სექსობრივ პარტნიორთან ბოლო ერთი წლის განმავლობაში?

1. ყოველთვის
2. თითქმის ყოველთვის
3. ხანდახან
4. არასოდეს
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

E1.6 თქვენი რეგულარული სექსობრივი პარტნიორი იკეთებს ნარკოტიკს?

1. დიახ
2. არა
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

შემდეგი შეკითხვები უნდა დაგისვით ფასიან სექსობრივ პარტნიორზე. ფასიანი სექსობრივი პარტნიორი გულისხმობს პარტნიორს, რომელთანაც სექსობრივი კონტაქტი გქონდათ ფულის ან ნარკოტიკის სანაცვლოდ.

E2. გქონდათ თუ არა ფასიანი სექსი ქალთან ბოლო 12თვის განმავლობაში?

(შუსაბამეთ D3.2-ის პასუხს)

დიახ	1	<i>გააგრძელეთ</i>
არა	2	<i>გადადით E3-ზე</i>

E2.1.1 გაიხსენეთ ყველა ფასიანი სექსობრივი პარტნიორი, რომელთანაც გქონდათ სექსი იმ მიზნით, რომ სანაცვლოდ მიგეღოთ ფული ან ნარკოტიკი? რამდენი ასეთი პარტნიორი გყავდათ ბოლო 1 თვის განმავლობაში?

1. _____ *(მიუთითეთ რიცხვი)*
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

E2.1.2 გაიხსენეთ ყველა ფასიანი სექსობრივი პარტნიორი, რომელთანაც გადაუხადეთ სექსში ფული ან ნარკოტიკი ბოლო ერთი თვის განმავლობაში. მთლიანობაში რამდენი ასეთი პარტნიორი გყავდათ?

1. _____ *(მიუთითეთ რიცხვი)*
88. არ ვიცი
99. უარი პასუხზე

(ინტერვიუერს, თუ E2.1.1 და E2.1.2 არ არის მითითებული ციფრი გადადით E2.3)

E2.2 იქნებ გაიხსენოთ თქვენი ბოლო ფასიანი სექსობრივი პარტნიორი ქალი. რამდენჯერ გქონდათ სექსი მასთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში?

- 1. _____ ჯერ
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

E2.3 ბოლოს, როდესაც სექსი გქონდათ ფასიან სექსობრივ პარტნიორთან, გამოიყენეთ თუ არა პრეზერვატივი?

დიახ	1	<i>გაგრძელეთ</i>
არა	2	<i>გადადით E2.5-ზე</i>
არ ვიცი	88	<i>გადადით E2.6-ზე</i>
უარი პასუხზე	99	

E2.4 ვისი (თქვენი, თუ სექსობრივი პარტნიორის) გადაწყვეტილება იყო პრეზერვატივის გამოყენება მაშინ?

- 1. ჩემი
- 2. პარტნიორის
- 3. საერთო
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

(*გადადით E2.6-ზე*)

E2.5 რატომ არ გამოიყენეთ თქვენ და თქვენმა სექსობრივმა პარტნიორმა პრეზერვატივი მაშინ? (*არ წაუკითხოთ ჩამონათვალი. შესაძლებელია რამდენიმე პასუხი*)

	დიახ	არა	არ ვიცი	უარი პასუხზე
1. ხელმისაწვდომი არ იყო/არ მქონდა	1	2	88	99
2. ძალიან ძვირი იყო	1	2	88	99
3. პარტნიორმა თქვა უარი	1	2	88	99
4. არ მომწონს	1	2	88	99
5. პარტნიორი იყენებს სხვა კონტრაცეპტივებს	1	2	88	99
6. არ ვთვლი, რომ საჭირო იყო	1	2	88	99
7. არ მიფიქრია ამაზე	1	2	88	99
8. სხვა (<i>წაწერეთ</i>) _____	1	2	88	99

E2.6 გასულ წელს რამდენად ხშირად გამოიყენეთ პრეზერვატივი თქვენს ფასიან სექსობრივ პარტნიორთან?

- 1. ყოველთვის
- 2. თითქმის ყოველთვის
- 3. ხანდახან
- 4. არასოდეს
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

E2.7 თქვენი ფასიანი სექსობრივი პარტნიორები იკეთებენ თუ არა ნარკოტიკს?

- 1. დიახ
- 2. არა
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

შემდეგი კითხვები შეეხება შემთხვევით სექსობრივ პარტნიორს. ეს არის სექსობრივი პარტნიორი, რომელიც არ არის რეგულარული და რომელთანაც სექსობრივი ურთიერთობა გქონიათ მატერიალური ანაზღაურების გარეშე

E3. გქონდათ, თუ არა სექსობრივი კონტაქტი შემთხვევით სექსობრივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში? (შუსაბამეთ D3.3-ის პასუხს)

დიახ	1	გააგრძელეთ
არა	2	გადადით E4-ზე

E3.1 გაიხსენეთ თქვენი ყველაზე ბოლო შემთხვევითი სექსობრივი პარტნიორი. რამდენჯერ გქონდათ სექსობრივი კონტაქტი ამ პიროვნებასთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში?

- 1. _____ჯერ
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

E3.2 ბოლოს, როდესაც სექსობრივი კონტაქტი გქონდათ შემთხვევით სექსობრივ პარტნიორთან, გამოიყენეთ თუ არა პრეზერვატივი?

დიახ	1	გააგრძელეთ
არა	2	გადადით E3.4-ზე
არ ვიცი	88	გადადით E3.5-ზე
უარი პასუხზე	99	

E3.3 ვისი (თქვენი, თუ სექსობრივი პარტნიორის) გადაწყვეტილება იყო პრეზერვატივის გამოყენება მაშინ?

- 1. ჩემი
- 2. პარტნიორის
- 3. საერთო
- 88. არ ვიცი
- 99. უარი პასუხზე

(გადადით E3.5-ზე)

E3.4 რატომ არ გამოიყენეთ თქვენ და თქვენმა სექსობრივმა პარტნიორმა პრეზერვატივი მაშინ? (არ წაუკითხოთ ჩამონათვალი. შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

	დიახ	არა	არ ვიცი	უარი პასუხზე
1. ხელმისაწვდომი არ იყო/არ მქონდა	1	2	88	99
2. ძალიან ძვირი იყო	1	2	88	99
3. პარტნიორმა თქვა უარი	1	2	88	99
4. არ მომწონს	1	2	88	99
